

დამხმარე სახელმძღვანელო სამოქალაქო
განათლების მასწავლებლებისათვის

ძალადობრივი ექსტრემიზმისა

და რადიკალიზმის პრევენცია



PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE



დამხმარე სახელმძღვანელო სამოქალაქო
განათლების მასწავლებლებისათვის

„ქალაფობრივი ექსტრემიზმისა და
რადიკალიზმის პრევენცია“

ავტორი: მაკა ბიბილეიშვილი, ნინო ჭიაბრიშვილი, ანა მენაღარიშვილი

რედაქტორი: მაკა ბიბილეიშვილი

კვლევის კონსულტანტი: მარიამ თოხაძე

კვლევის კონტრიბუტორები: გიორგი გოგუაძე, ლევან დოლიძე

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის მიერ სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან პარტნიორობით „ადგილობრივი საზოგადოების მხარდაჭერის ინიციატივის“ პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის, გლობალური ჩართულობის ცენტრის (GEC) ძალისხმევით. პროექტი საქართველოში ხორციელდება PH International - ის საქართველოს ოფისის და საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) პარტნიორობით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი. საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადასცემდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით. დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის პოზიციას.

სარჩევი

შესავალი.....	6
თავი I. გლობალური მოქალაქეობა და მისი გამოწვევები.....	8
თავი II. მრავალფეროვნება.....	16
თავი III. რადიკალიზაცია, რომორც სოციალური და იდეოლოგიური ფენომენი. რადიკალიზაციის და ექსტრემიზმის გამომწვევი ფაქტორები.....	30
თავი IV. რადიკალიზაციის და ძალადობრივი ექსტრემიზმის გამომწვევი და მამოძრავებელი ფაქტორები.....	34
თავი V. რადიკალიზაცია და ექსტრემიზმი ახალგაზრდებში - ნიშნები, მიზანები, ამოცნობა, რეაგირება და თავიდან აცილება.....	40
თავი VI. უფლებების სწავლება.....	52
თავი VII. ინსტრუმენტები მოსწავლისთვის მუშაობის პროცესში.....	62
გამოყენებული ლიტერატურა.....	93
განმარტებები.....	97

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო შექმნილია სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის და მიზნად ისახავს ძალადობრივი ექსტრემიზმის თავიდან აცილებას. წიგნი დაგვეხმარება გავიაზროთ, გლობალიზაციის პროცესში მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებებისა და მრავალფეროვნების სწავლებას. სახელმძღვანელო ეყრდნობა რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის შესასწავლად არსებულ საუკეთესო გამოცდილებას საქართველოში არსებული ვითარების გათვალისწინებით. გარდა დემოკრატიის ფუნდამენტური ღირებულებების სწავლებისა, ნაშრომი შესაძლებლობას მისცემს მასწავლებელს, გაეცნოს რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ ინფორმაციას, შეძლოს რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პირველადი ნიშნების ამოცნობა და მათზე დროული რეაგირება. ყოველი თავის ბოლოს მოცემული სავარჯიშოები კი არის იდეების ერთგვარი ბანკი, რომელიც მას კონკრეტული კლასის (მოსწავლის) საჭიროებებიდან გამომდინარე, სასურველი აქტივობის შერჩევასა და განახორციელებაში დაეხმარება.

წინამდებარე სახელმძღვანელოზე მუშაობისას ვეყრდნობოდით რამდენიმე ძირითად მოსაზრებას:

რადიკალური იდეებისა და ძალების არსებობა ჩვენი დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა;

რადიკალური იდეები ნებისმიერ დროსა და სივრცეში შეიძლება წარმოიშვას და ძალიან სწრაფად და მძლავრად მოიკიდოს ფეხი;

რადიკალიზაცია არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ასაკთან, სქესთან, სოციალურ ჯგუფთან, თუმცა, კვლევები ადასტურებს, რომ რადიკალიზაციის საფრთხისადმი განსაკუთრებულად მოწყვლადები ახალგაზრდები არიან;

მედეგობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების შესაძენად, დამოკიდებულებების ჩამოსაყალიბებლად ახალგაზრდებს ესაჭიროებათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო, რაც მათ პროპაგანდით გამოწვეული საფრთხეების თავიდან აცილებაში დაეხმარება.

პრობლემასთან გასამკლავებლად მხოლოდ ხარისხიანი სასკოლო განათლება არ არის საკმარისი, თუმცა, მყარი საფუძველია განათლების ინსტიტუციების მიერ თანმიმდევრული, მიზანმიმართული და შეთანხმებული ინტერვენციების ეფექტურობისთვის.

განათლება უნივერსალური ღირებულება და უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობისა და მედეგობის გასაზრდელად. სწავლება (სწავლა) ემსახურება ფიქრს, ფიქრი კი საფუძვლად უდევს ქმედებას. თუკი შევძლებთ, რომ ადამიანებმა სხვაგვარად იფიქრონ, თეორიულად გვაქვს იმედის საფუძველი, რომ სხვაგვარად იმოქმედებენ.

მადლობას ვუხდით ყველას, ვინც სახელმძღვანელოზე მუშაობისას გვეხმარებოდა.

თავი I. გლობალური მოქალაქეობა და მისი გამოწვევები

„მე ვარ დედა, მშობელი ყველასი, რაც კი თვალით ჩანს, თუ არა ჩანს, ყველას ჩემს კალთაზე უძევს თავი, ყველა ჩემით სულდგმულობს, არსებობს, საზრდოობს. შემომქმედმა მე დამბადა ყველა არსთა სიცოცხლის ნყაროდ“.

ვაჟა-ფშაველა

„იქნებ ჩვენ, ყველა, სხვადასხვა გემით მოვედით, მაგრამ ახლა ყველა ერთ ნავშივსხედვართ“.

მარტინ ლუთერ კინგი

ეპიგრაფად გამოყენებული გამონათქვამები, ალბათ, ყველაზე უკეთ აღნიერს გლობალიზაციის არსს. ერთის მხრივ, ცალკეული ქვეყნების მდიდარი კულტურული გამოცდილება თავისი მნიშვნელობით და მასშტაბით შესაძლოა გემს შევადაროთ. მეორე მხრივ, სურთ თუ არა გემ-ქვეყნებს, ანგარიში უნდა გაუწიონ გემების საერთო პორტს - დედამიწას, რომელიც ოსტატურად არის ნაეს შედარებული - „კალთას, სადაც ყველას თავი უძევს“. მეტაფორების მთავარი სათქმელი სამყაროს წონასწორობაზე ზრუნვაა.

წონასწორობის მნიშვნელობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. ერთ-ერთი მოსაზრებით, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება თანამედროვე გლობალიზაციის ათვლა - „მსოფლიოს, როგორც ერთი მთლიანობის, ისტორია“.

„დედამიწა ერთიანი გახდა. გაჩინდა ახალი შესაძლებლობები და ახალი საშიშროებები. ყველა არსებითი პრობლემა - მთელი კაცობრიობის პრობლემად“.

ტერმინი „გლობალიზაცია“ 1983 წელს პირველად ამერიკელმა მეცნიერმა თეოდორ ლევიტმა გამოიყენა სასაქონლო ბაზრების შერწყმის აღსანიშნავად. ეს ტერმინი ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბების, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზღვრებისა და შეზ-

ღუდვების გაუქმების ფართო მნიშვნელობით გამოიყენება 1990 წლიდან, როცა გამოქვეყნდა ჰარვარდის ბიზნეს-სკოლის იაპონელი კონსულტანტის, კენიჩი ომეს წიგნი „მსოფლიო საზღვრებს გარეშე“ და ბრიტანელი სოციოლოგის, მარტინ ელბროუს კრებული „გლობალიზაცია: შემეცნება და საზოგადოება“. ელბროუმ ამ ტერმინში გააქრთიანა ყველა ის პროცესი, რომელთა წყალობით მსოფლიოს ხალხები ერთიან მსოფლიო საზოგადოებაში ერთვებიან. ამგვარად, თუ დასაწყისში გლობალიზაცია წმინდა ეკონომიკური შინაარსის ტერმინი იყო, ძალიან სწრაფად ფართო, გლობალური მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცავა (პოლიტიკა, სოციალური მხარე, კულტურა, მენტალიტეტი). იგი გაერთიანების, შერწყმის სინონიმად იქცა.

ელბროუ საუბრობს ახალი ტიპის „გლობალურ მოქალაქეობაზე, რომელიც „იწყება ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში, აისახება ყოველ-დღიურ საქმიანობაში და სრულდება კოლექტიური ქმედებით გლობალურ დონეზე“. ამის მოდელად ის XIX საუკუნეში მუშათა კლასის საერთაშორისო მოძრაობას მიიჩნევს, თუმცა, თანამედროვეობაში მის ფესვებს ხედავს მოქალაქეებშიც, რომლებიც, მისი თქმით, „სახელმწიფოს წარმოადგენენ“. დღეს მრავალი გლობალური ქმედება ადგილობრივ დონეზე ხორციელდება. ბევრი მოთხოვნა, ცხადია, ახალი სოციალური მოძრაობებიდან მოდის - ეკო-მებრძოლების, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელთა, ქალთა... ისინი აიძულებენ ხელისუფლებას, აღიაროს ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა „სწრაფად მზარდ, დაუმორჩილებელ მსოფლიოში ადამიანების (პირად) ცხოვრებაზე კონტროლის არსებობა“.

ავტორთა განმარტებებიდან ჩანს, რომ გლობალიზაციის მთავარი ნიშანი სახელმწიფო და ეროვნული საზღვრების მოშლა ეროვნული ეკონომიკის გლობალური ეკონომიკით, ეროვნული კულტურის გლობალური კულტურით, ეროვნული ცნობიერების გლობალური ცნობიერებით შეცვლაა. ყველაფერი ეს ენინააღმდეგება ნაციონალიზმის ძირითად პრინციპებს, სადაც ეროვნული სახელმწიფო, ეროვნული ეკონომიკა, კულტურა და ცნობიერება უმაღლეს ღირებულებად მიიჩნევა. ამიტომ გლობალიზაცია და ნაციონალიზმი თანამედროვე ეპოქის მთავარი დაპირისპირებული ძალებია და მათ შორის წინააღმდეგობა

მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კიდეც თანამედროვე მსოფლიო პოლი-
ტიკის შინაარსს.

სამოქალაქო განათლების ლექსიკონში ნაციონალიზმი ასეა
განმარტებული: 1) იდეოლოგია, რომელიც ემყარება ნაციის, ერის ცნე-
ბას და გარკვეულ პოლიტიკურ და კულტურულ მიზნებს ისახავს. მათ
შორის უმთავრესია ეროვნული თვითგამორკვევის იდეა, რომელიც შეი-
ძლება მიღწეული იქნეს დამოუკიდებლობის, ინედრენტიზმისა თუ სეცე-
სიის გზით; 2) გრძნობა, რომლის მიხედვითაც ერი და ერი-სახელმწიფო
არის უმაღლესი ღირებულება და მისდამი ლოიალობა აღმატებულია
ყველა სხვა ლოიალობასთან შედარებით. ეროვნული ინტერესები პირად,
ნათესაურ, ტომობრივ, კლასობრივ რელიგიურ თუ ზოგადსაკაცობრიო
ინტერესებზე მაღლა უნდა იდგეს.

ნაციონალიზმი წარმოიშვა XVIII საუკუნის ბოლოს და საფრანგეთის
დიდ რევოლუციას, ნაპოლეონის ომებს უკავშირდება. ევროპის ხალხ-
ების უმრავლესობამ თავი კულტურულ ერთობად მაშინ გააცნობიერა
(ამაში დიდი წვლილი შეიტანა მშობლიურ ენებზე წიგნებისა და პრესის
სწრაფმა გავრცელებამ, ანუ ე.წ. ბეჭდვითმა კაპიტალიზმმა) და მიზნად
პოლიტიკურ ერთობად ქცევა დაისახა, რაც ეროვნული სახელმწიფოს
ჩამოყალიბებისათვის ბრძოლასაც წიგნავდა.

გლობალიზაცია, როგორც ძალზე რთული და წინააღმდეგო-
ბრივი პროცესი, შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად შეფასდეს და იგი
გამოკვეთილად პროგრესულ ან ნეგატიურ მოვლენად მივიჩნიოთ.

გლობალიზაცია სხვადასხვა ქვეყანაში თავს სხვადასხვაგვარად
იჩენს და განსხვავებულ საფრთხეებს წარმოშობს. ცხადია, ნაციონა-
ლიზმიც სხვადასხვა ფორმით მუღავნდება. განვითარებადი ქვეყნები,
უპირველეს ყოვლისა, შეშფოთებულები არიან მათი ეკონომიკის უცხ-
ოურ ფირმებზე და ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე დაქვემდე-
ბარებისა და დასავლური კულტურისა და ღირებულებების მასიური
გავრცელებით, რაც მათი აზრით, გამოიწვევს ტრადიციულ ფასეუ-
ლობების გადაფასებას და საფრთხეს შეუქმნის ეროვნულ კულტურას.
განვითარებულ ქვეყნებში კი სერიოზულ საფრთხედ აღიქმება მასიური
მიგრაცია განვითარებადი ქვეყნებიდან, რამაც რასიზმისა და ქსენოფო-
ბის ზრდა გამოიწვია.

ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის ბედის შესახებ მოსაზრებათა მრავალფეროვნებაში ორი ექსტრემალურად დაპირისპირებული პასუხი შეიძლება გამოიყოს:

1. გლობალიზაციის პროცესის შედეგად მოხდება მსოფლიო პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის სრული შერწყმა; წაიშლება საზღვრები სახელმწიფოებს შორის; არსებობას შეწყვეტენ ერი-სახელმწიფოები; მოხდება ხალხების სრული აღრევა და წარმოიშობა ერთ ენაზე მოლაპარაკე მსოფლიო ერი; ერების და სახელმწიფოების გაქრობა თავისთავად ნიშნავს ნაციონალიზმის გაქრობას. გლობალიზაციულ სამყაროში ნაციონალიზმისთვის ადგილი აღარ რჩება.
2. გლობალიზაცია მითია. ვერანაირი ინტეგრაცია და ურთიერთდახახლოება ვერ მოსპობს ერებს, ენებსა და კულტურებს. პირიქით, ეროვნული გრძნობები სულ უფრო მეტ ხალხებში გაიღვიძებს და ისინი თავიანთი ეროვნული სახელმწიფოების შესაქმნელად იბრძოლებენ. მომავალი მსოფლიოს ძირითადი შინაარსი იქნება ბრძოლა სახელმწიფოებსა და საკუთარ ეთნიკურ უმცირესობებს შორის. მაშასადამე, მოდის ნაციონალიზმის ეპოქა.

ცხადია, ზემოხსენებულ უკიდურეს პროგნოზებს მეცნიერებს შორის მხარდამჭერი არ ჰყავს, თუმცა, ზოგადად, შეიძლება პასუხები ამ უკიდურესობებს შორის იმაღლებოდეს.

როგორი მოქალაქე სჭირდება თანამედროვე სამყაროს?

როგორი სცენარითაც უნდა წარიმართოს კაცობრიობის მომავალი, ვფიქრობთ, განათლების სფეროს წარმომადგენელთა უმთავრეს ღირებულებად „დედამიწელობის წესების“ სწავლა-სწავლება დარჩება.

გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ბან კი-მუნი (2012) მიიჩნევს, რომ „ჩვენ გლობალური მოქალაქე უნდა აღვზარდოთ. განათლება გაცილებით მეტია, ვიდრე წიგნიერება და ანგარიში - ის მოქალაქეებაცაა. განათლებამ სრულყოფილად უნდა გაიაზროს თავისი

არსებითი როლი - დაეხმაროს ადამიანებს შექმნან უფრო სამართლიანი, მშვიდობიანი და შემწყნარებლური საზოგადოებები“.

გლობალური მოქალაქე ფართოდ აღიქვამს და აცნობიერებს სამყაროს და თავის ადგილს ამ სამყაროში. ის აქტიურად მონაწილეობს თემის ცხოვრებაში და სხვებთან თანამშრომლობს, რათა პლანეტა უფრო თანასწორი, სამართლიანი და მდგრადი გახადოს. მას სამყაროს-თან ურთიერთქმედებისათვის საჭირო ცოდნა, უნარები და ღირებულებები აქვს და სჯერა, რომ ადამიანებს ცვლილების ძალა შესწევთ.

განათლება გლობალური მოქალაქეობისთვის სწავლის სამ სფეროს ეყრდნობა: შემეცნებითს, სოციო-ემოციურს და ქცევითს:

კოგნიტური - სამყაროსა და მისი სირთულეების უკეთ გასააზრებლად აუცილებელი ცოდნა და სააზროვნო უნარები;

სოციო-ემოციური - ღირებულებები, დამოკიდებულებები და სოციალური უნარები, რაც მოსწავლეს ემოციური, ფსიქოსოციალური და ფიზიკური განვითარების საფუძველს უქმნის და სხვებთან ერთად პატივისცემითა და მშვიდობიანად ცხოვრების საშუალებას აძლევს;

ქცევითი - ქცევა, საქმიანობა, პრაქტიკული გამოყენება და ჩართულობა.

სასწავლო პროცესი სწორედ ამ სამი ურთიერთდაკავშირებული ელემენტის გათვალისწინებით უნდა წარიმართოს.

იუნესკოს მიერ გლობალური მოქალაქეობისთვის შემოთავაზებული განათლების განვითარება, თავის მხრივ, „განათლება 2030 ნლისთვის დღის წესრიგსა და მოქმედებათა ჩარჩოში“ მოყვანილ მდგრადი განვითარების მიზნებს ითვალისწინებს: „ყველა მოსწავლეს გააჩნდეს მდგრადი განვითარების ხელშემწყობი აუცილებელი ცოდნა და უნარები. მათ შორის, ცხოვრების მდგრადი წესის, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, მშვიდობისა და არაძალადობრივი კულტურის მხარდაჭერის, გლობალური მოქალაქეობის, კულტურული მრავალფეროვნებისა და კულტურის წვლილის გაცნობიერების (აღიარების)“.

გლობალურ მოქალაქეობაზე საუბრისას შესაძლოა, გზამკვლევად გამოგვადგეს ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში ნათქვამი ცნობილი მოსაზრებები სკოლისა და განათლების შესახებ: „მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდა

იქნება, აუცილებლად ბევრს იფიქრებს სასკოლო ცხოვრებაში მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითშემოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას“ (დიმიტრი უზნაძე); „განათლება არ არის ცხოვრებისთვის მზადება, ის თვით ცხოვრებაა. ცხოვრებისეული გამოცდილების უწყვეტი მშენებლობის პროცესია, რომელიც ინდივიდებში გარემოს კონტროლისა და საკუთარი პასუხ-ისმგებლობების შეცნობისთვის აუცილებელ უნარებს ავითარებს“ (ჯ. დიუ).)

გლობალური მოქალაქეობისათვის განათლების სარგებელი ერთ-ნაირად მნიშვნელოვანია სკოლისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. ის ეხმარება მასწავლებებს:

- წარმოდგენა შეექმნათ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე;
- დაფიქრდნენ მათთვის მნიშვნელოვან ღირებულებებზე;
- ისწავლონ რეალური სამყაროსაგან;
- დაუპირისპირდნენ უცოდინრობასა და შეუწყნარებლობას;
- გახდნენ ეროვნული და გლობალური საზოგადოების წევრები;
- ჩამოაყალიბონ არგუმენტი და გამოხატონ თავისი მოსაზრება;
- სჯეროდეთ, რომ შეუძლიათ მოქმედება და აქვთ გავლენა გარემომცველ სამყაროზე.

გლობალური მოქალაქეობა მასწავლებლებისა და მშობლებისთვისაც შთაგონებისა და ინფორმაციის წყაროა. უმთავრესი კი ის არის, რომ გლობალური მოქალაქეობა ახალგაზრდებს აჩვენებს, რომ მათი ხმა მნიშვნელოვანია. ახალგაზრდებს აქვთ პოზიტიური ცვლილების ძალა - მათი დახმარებით ყველასთვის უფრო სამართლიანი, უსაფრთხო და დაცული სამყარო შეიძლება აშენდეს.

რა ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები სჭირდება გლობალურ მოქალაქეს?

შეგვიძლია ეს ცხრილი ერთგვარ ტესტად გამოვიყენოთ და შევაფასოთ, რა ხარისხით ვართ გლობალური მოქალაქეები მასწავლებლები და ჩვენი მოსწავლეები.

ცოდნა და გასტრიბუცია	შნარები	ღირებულებები და დამოკიდებულებები
<p>სოციალური სამართლისნობა და თანასწორობა</p> <p>იდენტობა და მრავალფეროვნება</p> <p>გლობალიზაცია და ურთიერთდამოკიდებულება</p> <p>მდგრადი განვითარება</p> <p>მშვიდობა და კონფლიქტი</p> <p>ადამიანის უფლებები</p> <p>ძალაუფლება და მართვა</p>	<p>კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება</p> <p>თანაგანცდა</p> <p>თვითშემეცნება და რეფლექსია</p> <p>კომუნიკაცია</p> <p>თანამშრომლობა და კონფლიქტის გადაჭრა</p> <p>სირთულისა და გაურკვევლობის მართვა</p> <p>ინფორმირებული და გააზრებებული მოქმედება</p>	<p>იდენტობისა და თვითშეფასების გრძნობა</p> <p>სოციალური სამართლისნობისა და თანასწორობის ერთგულება</p> <p>ადამიანებისა და ადამიანის უფლებების პატივისება</p> <p>მრავალფეროვნების დაფუასება</p> <p>გარემობები ზუსტა და მდგრადი განვითარების ერთგულება</p> <p>რწმენა, რომ ადამიანებს შეუძლიათ ცვლილება</p>

სავარჯიშო 1

გაახსენეთ მოსწავლეებს, რომ კულტურათა ინტეგრაცია მანამდე ხდებოდა, სანამ სიტყვა „გლობალიზაცია“ გაჩნდებოდა. სთხოვეთ იმს-ჯელონ, როგორ შეუწყო ხელი ამ პროცესს გლობალიზაციამ.

მაგალითად, ჯაზი შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი ადგილობრივი მუსიკალური ფორმაა. თუმცა, ჯაზის ფესვები ასევე მონათა გაერთიანებებისა და აფრიკული კულტურების მუსიკალურ ტრადიციებში უნდა ვეძებოთ. ჯაზის დაბადებიდან მოყოლებული, კულტურის გიგანტებმა, როგორებიც არიან ელა ფიცკერალდი, ქაუნთ ბეისი, დიუკ ელინგტონი, ბილი ჰოლიდეი და სხვა მრავალი, არა მხოლოდ ჯაზის ტრადიცია გაამდიდრეს, არამედ გავლენა იქონიეს სხვა მუსიკალურ ფორმებზე, მათ შორის როკ-ენ-როლზე.

სავარჯიშო 2

სთხოვეთ მოსწავლეებს ახსნან, რას გულისხმობს ამერიკელი სოციოლოგის, ჯორჯ რიცერის (1992) მიერ გამოყენებული ტერმინი „მაკდონალდიზაცია“ და რა კავშირი აქვს მას გლობალიზაციასთან.

სავარჯიშო 3

მცირე ჯგუფებად დაყოფილ მოსწავლეებს სთხოვეთ დაასაბუთონ, როგორ არის პიქსარის მიერ შექმნილ ანიმაციაში „პატარა ხარაზი“ (The Small Shoemaker) <https://www.youtube.com/watch?v=fEUwBMThY1w&t=22s> წარმოდგენილი გლობალიზაციის ერთ-ერთი შედეგი. მოიფიქრეთ ხარაზის ვერსიისაგან განსხვავებული ვერსია ამ შედეგის შესამსუბუქებლად.

თავი II. მრავალფეროვნება

„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

საქართველოს კონსტიტუცია, მე-14 მუხლი

„დავითი თავის დიმიტრითურთ ყოველდღე დადიოდა უმთავრეს მეჩეთში, ისმენდა სამეფო ლოცვას და თვით ყურანის კითხვას. დავითი უხვად აძლევდა ფულს ქათიბს და მუაძინებს. მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები, და პოეტთათვის, რომელთაც ულუფას უნიშნავდა. თუ ვინმე ისურვებდა ტფილისის დატოვებას, გულ-სავსებით ხელს უპყრობდა და მგ ზავრობის ღონისძიებას აძლევდა ფულით. დავითი უფრო მეტს პატივსა სცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“.

მუსლიმი მწერალი ალ-აინი დავით ალმაშენებლის შესახებ

მრავალფეროვნების ცნება ადამიანებსა და მათ ინტერესებს შორის განსხვავებებს ასახავს. ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ცხოვრების სტილით, ეთნიკური წარმოშობით, რწმენით, ლირებულებებით, სოციალური სტატუსით, სქესით, ენით, დიალექტით, თაობით, წარმოშობის ადგილითა და სხვა. სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების პარალელურად მრავალფეროვნება კიდევ უფრო იზრდება.

კულტურის მკვლევარი კენეტ კუშნერი ადამიანის კულტურული იდენტობის წყაროებს წარმოგვიდგენს სქემით, სადაც კარგად ჩანს ის ძირითადი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს ადამიანის იდენტობის ჩამოყალიბებაზე:



ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავალფეროვნების გამო დაპირისპირების უამრავ მაგალითს ვაწყდებით. განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირების მიზეზი შეიძლება იყოს:

1. მხარეებს უჭირთ გააზრება, რომ გაანსხვავებული წარმომადგენებებისა თუ სოციალური ჩვევების მქონენი არიან;
2. განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებს არ ესმით ერთმანეთის სამეტყველო ენა და მოსმენილის, საკუთარი ენის ანალოგით გაგებას ცდილობენ;
3. მცდარი არავერბალური ინტერპრეტაციები. ერთი და იგივე ჟესტი სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულ მნიშვნელობას შეიძლება ატარებდეს;

4. სტერეოტიპული წარმოდგენები განსხვავებულ კულტურაზე, რამაც შეიძლება ხელი შეგვიშალოს განსხვავებული კულტურის წარმომადგენლის მიმართ ობიექტურ დამოკიდებულებაში.
5. ყოველ კულტურას ახასიათებს ფასეულობათა უნიკალური სისტემა, ფასეულობათა განსხვავებულობამ, შესაძლოა, გაუგებრობა ან კონფლიქტიც კი გამოიწვიოს.

უცხოს მიმართ არაცნობიერი შიში განსაკუთრებით თვალსაჩინოა იზოლირებული კულტურის წარმომადგენლებში. ცალკეულ ადამიანებს, ისევე, როგორც ჯგუფებსა და საზოგადოებებს, შესაძლოა, ახასიათებდეთ შიში განსხვავებულისადმი, რაც, თავის მხრივ, განსხვავებულისადმი უთანასწორო დამოკიდებულების მიზეზი შეიძლება გახდეს და ჩვეულებებისა და ტრადიციების მიმართ უპატივცემულობით და შეუწყნარებლობით გამოიხატოს.

ტოლერანტობის დაბალი ხარისხი ყველა ეპოქის საზოგადოების მნიშვნელოვანი პრობლემა იყო. ის არ აძლევდა ადამიანს ინდივიდუალური შეხედულებების შესაბამისად ცხოვრების უფლებას. განსხვავებული კულტურების მშვიდობიანი თანაარსებობისა და ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია, ქვეყანაში მცხოვრები უმრავლესობისა და უმცირესობის კულტურათა წარმომადგენლებმა განსხვავებულად დაიწყონ ფიქრი. განათლების მკვლევარი პოლ გორსკი მიიჩნევს, რომ განათლების მიზანი სოციალური ცვლილებებია. ამ მიზნისკენ მიმავალი გზა სამგვარ ტრანსფორმაციას გულისხმობს:

„მე“-ს ტრანსფორმაცია;
სკოლისა და სწავლების ტრანსფორმაცია;
საზოგადოების ტრანსფორმაცია (ჩორსკი, 2010).

ისტორიული გამოცდილების, თანამედროვე მსოფლიოში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით ნათლად დავინახავთ, რომ განსხვავებული შეხედულებები იოლად შეიძლება იქცეს სერიოზული დაპირისპირების, რადიკალური განწყობების მთავარ მიზეზად და ხელი შეუშალოს საზოგადოების განვითარებას. გლობალურ სამყაროში დაკარგვის შიშმა მეოცე საუკუნეში მრავალი ისეთი მოძრაობა გააჩინა,

რომელსაც ბევრი ადამიანისა თუ მთლიანად საზოგადოებების განადგურება მოჰყვა. მაგალითად, რუსი სლავიანოფილების მნიშვნელოვანი ნაწილი ბოლშევიკურ რევოლუციას უცქერდა, როგორც განსაკუთრებული რუსული გზის დასაწყისს. გერმანული ფაშიზმი ცდილობდა, გლობალურ სამყაროში გერმანული კულტურის გადარჩენა აყვავება ყველა სხვა ხალხის დამორჩილებით უზრუნველეყო. იგივე გზას დაადგნენ იაპონელი მილიტარისტებიც შორეულ აღმოსავლეთში. დღეს მუსლიმი ექსტრემისტები ტერორისტული აქტებით ცდილობენ წინა აღვანენ სამყაროს გლობალიზაციის ტენდენციებს და პროცესები საკუთარი რელიგიური მრავალსის ჩარჩოებში მოაქციონ.

თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში ხშირად შეხვდებით შემდეგ მოსაზრებას: მრავალფეროვნების მიმღებლობის მთავარი ხელშემშლელი პირობაა ე. წ. საზრისის მონოპოლიური ფლობის პრინციპი - ვითარება, როდესაც საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით ჭეშმარიტებაზე მონოპოლია აქვს ამა თუ იმ საზოგადოებრივ ინსტიტუტს ან პიროვნებათა ჯგუფს. საზოგადოების დანარჩენი ნაწილის ვალია, უსიტყვოდ მიჰყვეს ჭეშმარიტების „მფლობელს“. ეს პრინციპი იოლად შობს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და საყოფაცხოვრებო ექსტრემიზმს და, საბოლოოდ, ვნებს საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს ამოცანას: პარმონიული და პროგრესირებადი სასიცოცხლო გარემოს შექმნას.

დღემდე უპასუხოდ რჩება კითხვა - როგორ შეიძლება რადიკალური განწყობების დაძლევა და ამა თუ იმ ხარისხით პარმონიული საზოგადოების ჩამოყალიბება? გულუპრყვილობაა იმის მცდელობა, რომ ამ კითხვას რაღაც უნივერსალური ხერხით ერთხელ და სამუდამოდ ვუპასუხებთ. საზოგადოების მრავალფეროვნება ისეთი მასშტაბისაა, თანამედროვე სამყარო ისე სწრაფად იცვლება, რომ ამ ცვალებადი მრავალფეროვნების პარმონიულობის პრობლემა დღითი დღე უფრო აქტუალური ხდება.

თანამედროვე ადამიანების წინაშე ეპოქალური ამოცანა დგას - როგორ ვიცხოვროთ ერთად და მშვიდობიანად გლობალურ სამყაროში და ამავდროულად კულტურული იდენტობაც შევინარჩუნოთ. როგორ დავიცვათ წონასწორობა ორ უკიდურესობას შორის: ერთის მხრივ,

განსხვავებული მრნამსის, ტრადიციების, კულტურის ადამიანების მიუღებლობას და მეორე მხრივ, იმის გაცნობიერებას, რომ განსხვავებულისათვის არსებობის უფლების მინიჭებითა და მისი ღირსებების აღიარებით არა მხოლოდ არ ვყარგავთ თავს, არამედ ჩვენი თავისთავადობის ახალი განზომილებების შეძენისა და მისი გამყარება-განვითარების შანსს ვიძენთ.

მსოფლიო განმანათლებლებთან ერთად, ქართველი საზოგადო მოღვაწეებიც აღიარებდნენ, რომ ადამიანის თანასწორობა ყოველგვარი სიკეთის საფუძველია. ილია ჭავჭავაძე რელიგიურ ტოლერანტობას ერის გამთლიანების წინაპირობად მიიჩნევს: „სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს, ქართველმა, თავისის სარწმუნოების ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვისი სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგრილა და დევნა. სომები, ებრაელი, თვით მაჰმადიანიცა, ჩვენს შორის მცხოვრები, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და დაჩაგრულნი-აქ, ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინდისის თავ-ისუფლებასა“ ან „რა ჩვენი საქმეა-ვინ როგორ სარწმუნოებას აღიარებს, ვინ რა რჯულის არის? რა რჯულიც ჰსურს, იმ რჯულზე იყოს; მხოლოდ კარგი, პატიოსანი კაცი იყოს, მშრომელი და თავისთვის და ქვეყნისთვისაც სასარგებლო“.

ჩვენი ისტორიული ბედისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მუდმივად გვიჩევდა განსხვავებული კულტურისა და აღმსარებლობის საზოგადოებებთან ურთიერთობა. გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ ჩვენი საზოგადოება კულტურათა ურთიერთობების ფორმების შემუშავების აუცილებლობის წინაშე დააყენა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით ჩვენი გამოცდილება უნიკალურია, თუმცა, ხშირად მას უგულისყუროდ ვეპყრობით. საუკეთესო გამოცდილების მაგალითებად, შესაძლოა, რამდენიმე გავიხსენოთ: მას შემდეგ, რაც კომუნისტურმა მთავრობამ თბილისში მტკვრის ნაპირას მდებარე შიიტური მეჩეთი დაანგრია, სუნიტმა მუსლიმებმა შიიტებს საშუალება მისცეს, სუნიტურ მეჩეთში ელოცათ. შემუშავდა ამ ორ კონფესიას შორის ურთ-

იერთობის უნიკალური ფორმა - ერთ მეჩეთში ისინი ფარდით გაყო-ფილები ერთად აღავლენდნენ ლოცვას.

ყოველი წლის სექტემბრის ბოლოს აღავერდის ტაძარში იმართება რელიგიური დღესასწაული აღავერდობა, რომლის დროსაც საუკუ-ნეების განმავლობაში შეიძლებოდა გეხილათ ის, რასაც ბევრგან ვერ ნახავდით. დღესასწაული სამი ბრუნისაგან შედგებოდა. პირველი ბრუნი (პირველი კვირა) ქრისტიანული იყო და ძირითადად ქართველები ზეი-მობდნენ. მეორე ბრუნის განმავლობაში ისინი ადგილს უთმობდნენ მუსლიმებს, რომელებისთვისაც აღავერდის ტაძრის ადგილი, ასევე, საკრალური იყო და მის გაღავანში მცირე სამლოცველოც ჰქონდათ. მესამე კვირას კვლავ ქრისტიანები ზეიმობდნენ.

მშვიდობიანი თანაცხოვრების საუკეთესო მაგალითი იყო შეჯი-ბრებები ჭიდაობასა და ცხენოსნობაში, რომელიც ტაძრის გალავნის გარეთ, ველზე იმართებოდა. ასე იქმნებოდა რელიგიათა მშვიდობიანი თანაარსებობის უნიკალური პრეცედენტები.

განსხვავებულ კულტურათა მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებლობამ მთის ხალხებს უბიძგა შეემუშავებინა და დაეხვენა, ე.წ. „ადათი“, მორალური კოდექსი, რომელიც სავალდებულო იყო ნები-სმიერი აღმსარებლობის ადამიანისათვის და ურთიერთობისას საერთო ზნეობის სივრცეს ქმნიდა. ეს გარემოება საუცხოოდ აქვს აღნერილი ვაჟა-ფშაველას თავის ნანარმოებებში. ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ ტოლერანტობის კულტურას და მის პროგრესულ ნორ-მად აღიარებას ჩვენს საზოგადოებაში ძლიერი ფესვები აქვს.

ისტორია გვიჩვენებს, რომ რადიკალიზაციისაგან თავის დაღწევის მთავარი გზა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიალოგისა და თანამშრომ-ლობის კულტურის ჩამოყალიბება და მუდმივი განვითარებაა. თითქმის 2000 წლის წინათ ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსებმა შექმნეს ადამიან-თა ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფორმა - დიალოგი, რათა განსხვავე-ბული მოსაზრებების შემთხვევაში, სიმართლის დადგენის საუკეთესო გზები იოლად მოეძებნათ. დიალოგის საშუალებით გადაწყვეტილების მიღება ბევრი კულტურისათვისაა დამახასიათებელი. საქართველოში ამის მაგალითია ე.წ. „ხევისბერის ინსტიტუტი“. ხევისბერი საზოგადოე-ბისათვის მნიშვნელოვან საკითხებს თემის წინაშე წარადგენდა, იმართე-

ბოდა დიალოგი და ამის შემდეგ იღებდნენ გადაწყვეტილებას. ამერიკის რევოლუციის წინა პერიოდში არსებობდა „ქალაქის შეკრებების“ ტრადიცია, სადაც იხილავდნენ პრობლემებს, მართავდნენ დიალოგს ალტერნატიულ საკითხებზე და იღებდნენ გადაწყვეტილებას.

ოქსფორდის ლექსიკონის განმარტებით, დიალოგი ორ ან მეტ ადამიანს ან ჯგუფს შორის დისკუსია, რომელიც მიმართულია კონკრეტული საგნის შესწავლაზე ან პრობლემის გადაჭრაზე. დიალოგს რამდენიმე ძირითადი თავისებურება ახასიათებს:

- მხარე უსმენს მეორეს, რათა გაიგოს და აღმოაჩინოს განსხვავებები პოზიციებს შორის;
- ააშკარავებს მცდარ შეხედულებას;
- მისაღებია პოზიციის შეცვლა;
- იძლევა უფრო მეტ შესაძლებლობას, იპოვო საუკეთესო გადაწყვეტილება, ვიდრე დაეთანხმო რომელიმე მხარის ორიგინალურ პოზიციას;
- ავითარებს მოვლენებისადმი შემოქმედებით, ობიექტურ მრავალმხრივ დამოკიდებულებას;
- მოითხოვს ადამიანების და მათი იდეების პატივისცემას.

დიალოგისა და თანამშრომლობის პრინციპების დაცვით, საზოგადოების წევრები კულტურული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით მშვიდობიანი გარემოს შექმნას ცდილობენ.

დემოკრატია, როგორც საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების დღემდე არსებული საუკეთესო ფორმა, მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა აზრის თავისუფლებას არ გულისხმობს. ის იმასაც ნიშნავს, რომ საკუთარი აზრის მქონე ადამიანს მეორე ასეთივე ადამიანთან დიალოგისა და თანამშრომლობის უნარი აქვს. ეს შეუძლებელია ვინმეს ბრძანებით ან რაიმე კანონის შემოღებით - საჭიროა საზოგადოების წევრთა ყოველ-დღიური შეთანხმებული ძალისხმევა.

მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა დროს შემუშავებულია მრავალი საერთაშორისო ნორმატიული აქტი. ამავე დროს, ყველა ქვეყანაში მოქმედებს ძირითადი კანონი - კონსტიტუცია, რომელშიც ხაზგასმულია ადამიანთა თანასწორობა და დისკრიმი-

ინაციის ნებისმიერი ფორმისადმი შეურიგებლობა. ჯერ კიდევ 1921 წელს საქართველოში მიღებული კონსტიტუციის მე-3 თავი მთლიანად ადამიანის უფლებებს ეხებოდა და მასში გაცხადებული იყო კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა, რწმენისა და სიტყვის თავი-სუფლება, დისკრიმინაციის მიუღებლობა.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 38-ე მუხლი დისკრიმინაციის ყველა ფორმას კრძალავს: „საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ“.

მნიშვნელოვანია, საზოგადოების წევრთა მიერ ოჯახში, სკოლაში, სამსახურში, რელიგიურ და სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებში გააზრებული და რეალიზებულია თუ არა ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციაში ასახული მშვიდობიანი თანაცხოვრების დემოკრატიული პრინციპები; აქვთ თუ არა ადამიანებს შესაბამისი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები თავისი და სხვისი უფლებებისა და თავისუფლების კანონით განსაზღვრული ნორმების შესახებ; იციან თუ არა თანამოქალაქეებისა და სახელმწიფოს წინაშე უფლებებისა და პასუხისმგებლობების წინასწორობის მნიშვნელობის შესახებ; შეუძლიათ თუ არა განსხვავებული აზრის პატივისცემა, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა, მოლაპარაკებითა და დისკუსით სასურველის მიღწევა და ა.შ. ამ კითხვების შესახებ ფიქრი და მათზე გააზრებული პასუხის გაცემის მცდელობა აქტიური მოქალაქისათვის საჭირო კომპეტენციების არსებობაზე მიგვანიშნებს.

თანამედროვე სასკოლო საზოგადოების უმნიშვნელოვანესი მიზანი და ვალდებულება ამ და სხვა მრავალი კითხვის დასმაში და მათზე პასუხის მოძებნაში მოსწავლეთა დახმარებაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული კანონის უზენაესობისა, დემოკრატიული კულტურის განვითარების ეს რთული

პროცესები ვერც ბრძანებით და ვერც კანონით ვერ განვითარდება. ამ პროცესებს, როგორც თომას ჯეფერსონი აღნიშნავდა, ყოველი ადამიანის „ჯარისკაცობა“ სჭირდება: „ყოველი მოქალაქე ჯარისკაცი უნდა იყოს. ასე ფიქრობდნენ ბერძნები და რომაელები და ასე უნდა ფიქრობდეს ნებისმიერი თავისუფალი სახელმწიფო“.

სწავლება მრავალფეროვნების შესახებ

იმ პროგრამების საშუალებით, რომლებიც წაახალისებს განსხვავებული კულტურის, რწმენისა და რელიგიის მქონე ადამიანთა შორის დიალოგს, განათლებას ძალა შესწევს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მდგრადი და ტოლერანტული საზოგადოებების განვითარებაში. ინტერკულტურული განათლება ერთგვარი პასუხია ყველა ადამიანისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაზე, რომელიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია მოცემული: „განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა, ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას...“

„ინტერკულტურული განათლების იუნესკოს გზამკვლევის“ მიხედვით, ტერმინი „მულტიკულტურული“ საზოგადოების კულტურულად მრავალფეროვან ბუნებას გულისხმობს. ის არა მხოლოდ ეთნიკური ან ეროვნული კულტურის ელემენტებს აღნიშნავს, არამედ ლინგვისტურ, რელიგიურ და სოციოეკონომიკურ მრავალფეროვნებასაც მოიცავს. ინტერკულტურალიზმი დინამიკური კონცეფციაა და კულტურულ ჯგუფებს შორის ურთიერთობას აღნიშნავს. ეს არის „მრავალფეროვან კულტურებს შორის თანასწორი ურთიერთობები და დიალოგისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე კულტურული თვითგამოხატვის გაზიარებულ ფორმათა შექმნის შესაძლებლობა“. ინტერკულტურული ურთიერთობები გულისხმობს მულტიკულტურალიზმს და ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ ან საერთაშორისო დონეებზე კულტურათაშორისი გაცვლისა და დიალოგის შედეგია.

დემოკრატიის განსამტკიცებლად განათლების სისტემაში მხედვე-ლობაში უნდა მიიღოს საზოგადოების მულტიკულტურული ხასიათი და მიზნად დაისახოს აქტიური მონაწილეობა მშვიდობიანი თანაარსებობისა და სხვადასხვა კულტურულ ჯგუფებს შორის პოზიტიური ინტერ-აქციისთვის პირობების შესაქმნელად. ტრადიციულად ორი მიდგომა არსებობს: **მულტიკულტურული განათლება და ინტერკულტურული განათლება.** მულტიკულტურული განათლება სხვა კულტურების შესახებ სწავლებას იყენებს ამ კულტურათა აღიარების, ან სულ მცირე, მათ-დამი ტოლერანტობის ჩამოსაყალიბებლად. ინტერკულტურული განათლება პასიური თანაარსებობის მიზანს სცილდება და მიზნად ისახავს მულტიკულტურულ საზოგადოებებში განვითარებადი და მდგრადი თანაცხოვრების მიღწევას სხვადასხვა კულტურულ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემისა და დიალოგის გზით.

საქართველოს სამეცნიერო წრეებში თანამედროვე მრავალფეროვანი გარემოს აღსანიშნავად იყენებენ ტერმინს „**მულტიკულტურული**“, ხოლო განათლებასთან მიმართებაში - ტერმინს „**ინტერკულტურული**“.

ინტერკულტურული განათლება მულტიკულტურული გარემოს საგანმანათლებლო მიზნებს ემსახურება.

ინტერკულტურული განათლების პრინციპები და მიდგომები

გთავაზობთ ინტერკულტურული განათლების ზოგად პრინციპებს, რომელიც იუნესკოს მიერ არის ჩამოყალიბებული.

I პრინციპი. ინტერკულტურული განათლება პატივს სცემს მოსწავლის კულტურულ იდენტობას ყოველი მათგანისთვის კულტურის თვალ-საზრისით შესატყვისი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფით.

II პრინციპი. ინტერკულტურული განათლება მოსწავლეებს უზრუნველყოფს კულტურის შესახებ იმ ცოდნით, უნარებითა და დამოკიდებულებით, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებაში აქტიური და სრულყოფილი მონაწილეობისათვის.

III პრინციპი. ინტერკულტურული განათლება უზრუნველყოფს ყველა მოსწავლეს კულტურის შესახებ ცოდნით, უნარებითა და დამოკიდებულებით, რაც მათ საშუალებას აძლევს თავისი წვლილი შეიტანონ ეთნიკურ, სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ ჯგუფებსა და ერებს შორის პატივისცემის, ურთიერთგაგებასა და სოლიდარობაში.

საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობისა და დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების მთავარი ქვაკუთხედი ფიქრი, ძიება, დისკუსია, „ერთადერთი“ ჭეშმარიტების ეჭვქვეშ დაყენებაა. შესაბამისად, მასწავლებლის უპირველესი ამოცანაა, მოსწავლეებს აზროვნება ასწავლოს, მუდმივად იზრუნოს მის განვითარებაზე და კლასში თავისი დომინანტური პოზიცია დათმოს.

თანამედროვე „მასწავლებელი აღარ არის ერთადერთი აქტორი, რომელიც ასწავლის - ის მოსწავლეებთან დიალოგის პროცესის ერთ-ერთი მონაწილე ხდება. თავის მხრივ, მოსწავლეები სწავლის პროცესში ასწავლიან მასაც. მოსწავლეები, მასწავლებლის მსგავსად, „იტვირთებიან“ პროცესისადმი პასუხისმგებლობით, რაც ორივე მხარის ზრდის საწინდარია“ (პაულო ფრეირე).

სავარჯიშო 1 „კოლეჯი ყველასთვისაა“

მასწავლებელი ჯგუფებად გაყოფილ მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცელს „კოლეჯი ყველასთვისაა“. მოსწავლეები ყურადღებით ეცნობიან ტექსტში აღწერილ სიტუაციას და პასუხობენ ტექსტის ბოლოს მოცემულ კითხვებს და ცდილობენ კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნას. თითო ჯგუფიდან თითო მოსწავლე ჯგუფის სახელით წარმოადგენს პრეზენტაციას კონფლიქტური სიტუაციის გადაჭრის კონკრეტული ვარიანტის შესახებ.

სამუშაო ფურცელი: „კოლეჯი ყველასთვისაა“

კოლეჯის დირექტორი ძალიან ჰუმანური და სულგრძელი ადამიანი გახლდათ; მას ღრმად სწამდა, რომ განათლება ძალიან მნიშვნელოვანია. დირექტორი თანამშრომლებს ყოველთვის ეუბნებოდა: „ყველა ადამიანი

იმსახურებს ცხოვრების კარგ დასაწყისს. არ უნდა მოეპყრათ რომელიმე მოსწავლეს უფრო მეტი კეთილგანწყობით, ვიდრე სხვებს. ეს არ იქნება სამართლიანი“.

ერთ დღეს სკოლაში განსხვავებული იდენტობის მქონე დევნილ მოსწავლეთა ჯგუფი მოვიდა; მათი ოჯახები მეზობელი სახელმწიფოდან კონფლიქტს გამოექცნენ. დირექტორმა თანამშრომლებს განუცხადა: „ამ საწყალმა ადამიანებმა ყველაფერი დაკარგეს. ხელგაშლილი მიეგებ-ეთ მათ. დროა, ამ ადამიანებს შევუმსუბუქოთ ტკიფილი; მათი ბრალი არ არის, რომ ომის მსხვერპლად იქცნენ“.

თანამშრომლები დირექტორს დაეთანხმნენ. დევნილი მოსწავლეები კლასებში ასაკის მიხედვით გადაანაწილეს. ძირითადად, ყველა კლასში ერთი დევნილი მოსწავლე მოხვდა. მხოლოდ ერთ კლასში აღმოჩნდა 4 დევნილი ბიჭი.

მასწავლებლებმა მალე აღმოაჩინეს, რომ დევნილებისა და მათი ძველი მოსწავლეებისადმი თანაბარი მოპყრობა რთული იყო. მასწავ-ლებლები პრობლემების შესახებ დირექტორს შესჩიოდნენ: „დევნილმა ბავშვმა ჩვენი ენა და კულტურა არ იცის. მე არ მაქვს დრო, რომ მას ყვე-ლაფერი ვუთარგმნო. თარგმნას ძალიან დიდი დრო სჭირდება და ეს დრო დანარჩენ მოსწავლეებს აკლდებათ“. „ჩემს კლასში დევნილი მოსწავლე არავისთან ამყარებს ურთიერთობას. ეს, შესაძლოა, ომისგან მიყენებუ-ლი ტრავმის შედეგი იყოს. არ არის გამორიცხული, რომ მას პრობლე-მები ჰქონდეს სწავლასთან დაკავშირებითაც. როგორ მოვიქცე?“ „ჩემს კლასში დევნილი ბავშვი დასახიჩრებულია; მას არ შეუძლია სიარული; ის ფიზიკურ აქტივობებში ვერ მონაწილეობს, ლაბორატორიაშიც კი ვერ ამოდის, რადგან კიბეებია ასავლელი“.

პრობლემები არ მცირდებოდა. სადილზე, შესვენების დროს, ადგი-ლობრივები დევნილ ბავშვებს ჩაგრავდნენ და დასცინოდნენ, ზოგჯერ შეურაცხმყოფელი სიტყვებითაც მიმართავდნენ. სკოლის ძველი მოსწავ-ლეები დევნილებს მოუწოდებდნენ, იქ დაბრუნებულიყვნენ, საიდანაც მოვიდნენ.

ერთ კლასში მოხვედრილმა იმ ოთხმა დევნილმა, საკუთარი ინტერ-ესების დასაცავად დაჯგუფება ჩამოაყალიბეს. ერთ დღეს ერთ-ერთმა დევნილმა ბიჭმა ადგილობრივთან იჩხუბა და მძიმე ფიზიკური ტრავმა

მიაყენა. მასწავლებლები თვლიდნენ, რომ ეს დევნილი ბიჭი სკოლიდან გარიცხვის ღირსი იყო. დირექტორი კი თავს ეკითხებოდა, სამართლიანი იქნებოდა თუ არა დევნილი მოსწავლის სკოლიდან გაძევება. მასწავლებლები ამბობდნენ: „ჩვენ ვეცადეთ მათთან გვემუშავა. ჩვენი მოსწავლეები ზარალდებიან. არ შეგვიძლია ერთდროულად დევნილებსაც ვასწავლოთ და ჩვენს ძველ მოსწავლეებსაც“.

მოგვიანებით, დევნილი ბავშვების მშობლებმაც მოისურვეს დირექტორთან შეხვედრა და განუცხადეს: „ჩვენ არ მოგვწონს, რომ გოგონებსა და ბიჭებს ერთად უტარდებათ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები. ეს ჩვენს რელიგიასა და კულტურას ეწინააღმდეგება“.

დირექტორს მოთმინება ეწურებოდა; იგიძალიან რთული დილემის წინაშე იდგა და იცოდა, რომ იმედის დაკარგვა ასეთ დროს არ შეიძლებოდა“.

კითხვები დისკუსიისთვის:

- მიაღწია თუ არა დირექტორმა დასახულ მიზანს, როცა ყველა მოსწავლისადმი თანასწორი მოპყრობა გადაწყვიტა?
- უნდა გაეთვალისწინებინა თუ არა დირექტორს დევნილი მშობლების სურვილი და ბიჭები და გოგონები განეცალკევებინა? მოიყვანეთ არგუმენტები;
- უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, რომ დევნილ მოსწავლეებს ცალკე კლასში ესწავლათ? მოიყვანეთ არგუმენტები.
- როგორ შეიძლება მოგვარდეს სკოლაში არსებული პრობლემები? საჭიროა თუ არა, სკოლამ ზოგიერთ პრობლემაზე თვალი დახუჭოს და რატომ?
- შესაძლებელია თუ არა ყველა ბავშვისთვის, მათი კულტურული კუთვნილების მიუხედავად, საუკეთესო განათლების შესაძლებლობის მიცემა მისი მოთხოვნების სრულად გათვალისწინებით? რა შეიძლება გააკეთოს სკოლამ და რა დახმარება სჭირდება მას გარედან?

სავარჯიშო 2

გააცანით მოსწავლეებს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატისა და ჰოლოკოსტს გადარჩენილი მწერლის, ელი ვიზელის სიტყვები: „თუკი სადმე კაცს ან ქალს სდევნიან მისი რასის, რელიგიის ან პოლიტიკური შეხედულებების გამო, ის ადგილი იმ მომენტში სამყაროს ცენტრად უნდა გადაიქცეს“.

სთხოვეთ მოსწავლეებს, იმსჯელონ თითოეული ადამიანის მოქმედების მნიშვნელობაზე საზოგადოების წონასწორობისთვის.

სავარჯიშო 3

მესამეკლასელ გოგონას მუდმივად ჩაგრავდნენ მასწავლებელი, კლასელები და მათი მშობლები. ჩაგვრის საფუძველი გახდა ის ფაქტი, რომ გოგონას მშობლები გაიყარნენ, ცალკ-ცალკე ახალი ოჯახები შექმნეს და შვილს ყურადღებას არ აქცევდნენ. ბების ცნობით, გოგონას თანაკლასელების მშობლები და მასწავლებლები მშობელთა კრებაზე, საჯაროდ და ზურგს უკან, ოჯახებში, შვილების გასაგონად განიხილავდნენ მის მდგომარეობას. ზოგი ამბობდა, რომ ცუდ ოჯახში აღზრდილი გოგონა, თავადაც ცუდი და გზას აცდენილი გაიზრდებოდა. გოგონას მუდმივად უხდებოდა თავის დაცვა თანაკლასელებისგან, მათი უფროსი და-ძმებისგან, მშობლებისგან და მასწავლებლისგანაც კი.

სთხოვეთ მოსწავლეებს, იმსჯელონ წარმოდგენილ სიტუაციაზე. განიხილეთ მასში მოყვანილი ფაქტების გამომწვევი მიზეზები და მასთან დაკავშირებული საკითხები.

თავი III. რადიკალიზაცია, როგორც სოციალური და იდეოლოგიური ფენომენი. რადიკალიზაციის და ექსტრემიზმის გამომწვევი ფაქტორები

„აზრსაც იმის მიხედვით აქვს ბაზარი და გასავალი, რამდენადაც მტკიცე
და შეუპოვარნი არიან მისი მტკირთველნი, რამდენიც მეტი ნამებული
ჰყავს. ყველა რჯულის აზრი, სოციალური თუ სარწმუნოებრივი, იმის
მიხედვით იმარჯვებს, თუ რამდენად ნიადაგი აქვს განხორციელებისა
და რამდენად თავგამოდებულნი მომხრენი ჰყვანან“.

ვაჟა-ფშაველა

„რას ეტყოდით კაცს, რომელიც გეუბნებათ, რომ ურჩევნია ღმერთს
და ემორჩილოს, ვიდრე ადამიანებს და ამასთანავე დარწმუნებულია,
რომ სამოთხეში მოხვდება, თუ ყელს გამოგჭრით?“

ვოლტერი

ზოგადი კონტექსტის აღწერა:

გლობალიზაციის პირობებში ქვეყანათა უმრავლესობა მულტიეთნი-
კური და მულტიკულტურულია. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკ-
ლისი. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, აქ მოსახლეობის 13
პროცენტს ეთნიკური უმცირესობები შეადგენს. ეს ჯგუფები, ძირითა-
დად, საქართველოს სხვადასხვა მხარეში კომპაქტურად არიან დასახლე-
ბული. მრავალფეროვანია მოსახლეობის განაწილება რელიგიური აღმ-
სარებლობის მიხედვითაც. ქვეყანაში მართლმადიდებელ ქრისტიანობას
ყველაზე მეტი მიმდევარი ჰყავს (83,4 პროცენტი), ხოლო რიცხოვნებით
მეორე ადგილზეა ისლამი - 10,7 პროცენტი. შემდეგ მოდის მოსახლეობის
სომხური სამოციქულო ეკლესია (გრიგორიანული ეკლესია) - 2,9 პრო-
ცენტი. დანარჩენ სამ პროცენტს სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეო-
ბის აღმსარებლები ინაწილებენ (კათოლიკები - 0,5, იელოვას მონწეები

- 0,2, პროტესტანტები 0,2 პროცენტი და ა.შ). თუ ამ რიცხვებს რეალური პერსპექტივიდან შექედავთ და გავიაზრებთ, ნათლად დავინახავთ, რომ საქართველოსთვის გამოწვევაა, როგორც ეროვნული, ასევე რელიგიური უმცირესობების ინტეგრაცია და შემწყნარებლური გარემოს შექმნა.

მსოფლიოში (რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური) წონასწორობის დაცვის საკითხი აქტუალური მეორე მსოფლიო ომის დასასრულს გახდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ტოტალიტარული რეჟიმიდან დემოკრატიულზე გადასვლისას ჩვენთან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ეროვნული, სამოქალაქო, რელიგიური თუ პოლიტიკური იდენტობის პრობლემამ. დღის წესრიგში დადგა სოციალური დაახლოების საკითხი. ვერ ვიტყვით, რომ საზოგადოებაში ადგილის პოვნა და თავის დამკვიდრება მხოლოდ ეთნიკურ ან რელიგიურ უმცირესობებს გაუჭირდათ. იდენტობის მნვავე კრიზისის წინაშე დადგა ეთნიკურად ქართველი მოსახლეობაც, რამაც ქვეყანაში არსებული ვითარება კიდევ უფრო გაართულა.

დღესდღეობით, საქართველო ჯერ კიდევ „გარდამავალ“ პერიოდში იმყოფება - სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები ბოლომდე არ ჩამოყალიბებულა. შესაბამისად, არსებობს ხილული თუ ფარული საფრთხეები, რომლებმაც, შესაძლოა, მშვიდობიანი დაახლოების, განვითარების, თანაცხოვრების პროცესს ხელი შეუშალოს.

რადიკალური იდეები

მსოფლიოს დიდ პოლიტიკურ და სოციალურ სცენაზე აშკარად შეიმჩნევა რადიკალური იდეების წინ წამოწევის ტენდენცია, რაც, შესაძლოა, ჩვენი ეპოქის ერთ-ერთ ურთიულეს თავსატეხად იქცეს. გახშირდა ტერორისტული აქტები; გააქტიურდნენ რადიკალური მემარჯვენე მიმდინარეობები. ამ პროცესს, შესაძლოა, ბევრი მიზეზი ჰქონდეს - ლტოლვილების კონფლიქტური რეგიონებიდან შემოდინება, უმუშევრობის ზრდა, იდენტობის კრიზისი და ასე შემდეგ. რადიკალური იდეები ღვივდება ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე, რაც ხშირად მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვა სახის ძალადობრივი აქტების საფუძველი ხდება.

შესაძლოა, რადიკალური იდეები მოულოდნელად წარმოიშვას და ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სივრცეში ძალიან სწრაფად გავრცელდეს. წინასწარ ამის გამოცნობა ძალიან რთულია.

მაინც რა იგულისხმება რადიკალურ იდეებში? რადიკალიზაციის ცნების სირთულიდან გამომდინარე, ერთი საყოველთაოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს - სამეცნიერო ინსტიტუტები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოები მას სხვა-დასხვანაირად განმარტავენ. ფართო გაგებით, რადიკალიზაცია არის პროცესი, როდესაც ინდივიდი ან ინდივიდთა ჯგუფი ეწინააღმდეგება ფართო საზოგადოებაში მიღებულ (დანერგილ) ნორმებს (კანონებს, ტრადიციებს, ცხოვრების წესს...); მხარს უჭერს რომელიმე ექსტრემალურ, პოლიტიკურ, სოციალურ ან რელიგიურ იდეოლოგიას და ამით არღვევს საზოგადოების სტაბილურობას.

ისევე, როგორც გლობალიზაციას და ნაციონალიზმს, რადიკალურ იდეებსაც ორი მხარე აქვს - არაძალადობრივი და ძალადობრივი. რადი-კალური იდეების მატარებელი, შესაძლებელია, ნებისმიერი ჩვენგანი იყოს. მაგალითად, ადამიანს ადარდებს პლანეტის დაბინძურების საკითხი, ცხოველების უფლებები, ან საზოგადოებაში მოხუცებისადმი დამოკიდებულება და ამის შესახებ მისი განცხადებები და ქცევა სიხ-ისტითა და რადიკალიზმით გამოირჩევა.

შესაძლოა, დაპირისპირებისა და რადიკალიზაციის მიზეზად იქცეს, გაუპრალოვდეს და თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგოს ნებისმიერ-მა ყველაზე ღირებულმა და კეთილშობილურმა იდეამ. რაიმე იდეის მხარდამჭერმა პირმა თავისი ცხოვრების განმავლობაში მიზნის მის-აღწევად იქნებ რაღაც გააკეთოს ან სულაც არაფერი მოიმოქმედოს. თუ რადიკალურ იდეებს ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ იქნებ ჯობდეს კიდეც, რომ დედამინაზე ცხოვრების გასაკეთილშობილებლად ადამიანები გარკვეული საკითხების მიმართ უფრო რადიკალურები და გულანთებულები გახდნენ. მაგრამ როდესაც ინდივიდი, ან ინდივიდთა ჯგუფი, ძალადობას გამართლებულად მიიჩნევს, ნებისმიერი პოლი-ტიკური, სოციალური თუ სხვა სახის მიზნის მისაღწევად, ისე ცვლის თავის შესედულებებს და ქცევას, რომ მსხვერპლი გარდაუვალია, მაშინ რადიკალიზაცია ძალადობრივ ექსტრემიზმად გარდაიქმნება.

არსებობს რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის სხვა-დასხვა ფორმა:

1. **მემარცხენე ძალები.** მაგალითად, გერმანიაში არსებობდა „წითელი არმიის ფრაქცია“, რომელმაც 1970-იან წლებში დასავლეთ (კაპიტალისტური) გერმანიის წინააღმდეგ რამდენიმე სისხლიანი აქცია მოაწყო.
2. **მემარჯვენე ძალები.** ბოლო დროს განსაკუთრებით აქტიურად ჩანან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, როგორც პოლიტიკური ლიდერების, ასევე სხვადასხვა დაჯგუფებების სახით და უკვე საქართველოშიც ნაციონალისტურად განწყობილი პოლიტიკური სუბიექტები, რადიკალური მართლმადიდებლური იდეები და საზოგადოებრივი ღირებულებები ერთიანობაში ქმნის მემარჯვენე ნაციონალური განწყობებისთვის ნოუერ ნიადაგს.
3. **ნაციონალისტ-სეპარატისტები.** ესპანეთში ბასკების სეპარატისტულმა მოძრაობამ არაერთი უდანაშაულო მოქალაქის და პოლიციელის სიცოცხლე შეიწირა.
4. **რელიგიური რადიკალები.** ამის მაგალითად ალ-ქაიდას მიერ 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერორისტული აქტი გამოგვადგება.

ზოგჯერ მკვლევრები ამ სიას კიდევ ერთი მიმართულების ექსტრემიზმაც უმატებენ - რადიკალური ჯგუფები, რომლებიც ძალადობრივ თავდასხმებს ახორციელებენ ცხოველთა უფლებების დაცვის მოტივით. შესაძლებელია, ამ ჩამონათვალს რადიკალიზაციის შერეული/ჰიბრიდული ფორმებიც დაემატოს.

ამრიგად, რადიკალიზაცია და ძალადობრივი ექსტრემიზმი როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ დონეზე საფრთხის შემცველია მშვიდობების, უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვისთვის. ამიტომ მოცემული საკითხის სიღრმისეულად გააზრება და ცნობიერების ამაღლება აუცილებელია.

თავი IV. რადიკალიზაციის და ძალადობრივი ექსტრემიზმის გამომწვევი და მამოძრავებელი ფაქტორები

ისეთ მრავალმხრივ და რთულ ფენომენს, როგორიც რადიკალიზაცია და ძალადობრივი ექსტრემიზმია, მხოლოდ ერთი გამომწვევი მიზეზი ვერ ექნება. შესაბამისად, ამ თემის მრავალი მკვლევარი ცდილობს მათი გამომწვევი ფაქტორების მეტ-ნაკლებად ამომნურავი კატეგორიზაცია შემოგვთავაზოს. მათ შორისაა მანგუს რანსტროპი, რომელმაც რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის გამომწვევი ფაქტორები 9 ჯგუფად გააერთიანა.

ინდივიდუალური სოციო-ფსიქოლოგიური ფაქტორები აერთიანებს ისეთ ემოციებსა და შეგრძნებებს, როგორიცაა სიბრაზე, უსამართლობის განცდა, გარიყულობა, იმედგაცრუება, დამცირება, გაორება და ა.შ. გარდა ამისა, ინდივიდი შეიძლება არასწორად აანალიზებდეს არსებულ სიტუაციას ამიტომ შეთქმულების თეორიებისადმი მიღწეული გახდეს.

სოციალური ფაქტორები აერთიანებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სოციალური წრიდან გარიყვა, მარგინალიზაცია და დისკრიმინაცია (რეალური ან ინდივიდის მიერ აღქმული), რაც ინვევს სოციალური ინტეგრაციის მიღწევის შეუძლებლობას, კრიმინალის გაზრდილ დონეს და, შესაბამისად, თვითშეფასების შემცირებას. ეს ფაქტორი ასევე სოციალურ მობილობაზე/გადაადგილებაზე, განათლებასა და დასაქმებაზე შეზღუდულ წვდომას გულისხმობს.

პოლიტიკური ფაქტორები უმეტესწილად მოიცავს ისეთი შინაარსის მქონე ფაქტორებს, როგორიცაა „ჩვენ“ და „ისინი“. ასეთი ტიპის შინაარსის მქონე გზავნილები ინვევს ძლიერი უსამართლობისა და სიბრაზის განცდას, ადამიანს სამყარო ეჩვენება ორად გაყოფილად, სადაც ერთი ნაწილი აუცილებლად საჭიროებს მისი მხრიდან დაცვას და მისი გადარჩენისათვის თავგანწირვას; ხოლო მეორე ნაწილი წარმოადგენს გაბოროტებულ მხარეს, რასაც თავისთავად მივყავართ ისეთ უარყოფით სტრუქტურებამდე, როგორიცაა ქსენოფობია და სხვადასხვა ტიპის დისკრიმინაცია.

იდეოლოგიური/რელიგიური ფაქტორები ძირითადად დატვირთულია ისტორიული და საკრალური შინაარსით. თანამედროვე ეპოქაში ასეთი იდეოლოგიები, როგორც წესი, დასავლეთის ქვეყნების სეკულარიზმის საწინააღმდეგოდაა მიმართული. ამის მაგალითებია ქრისტიანობის სახელით ჩადენილი დანაშაულები, მაგალითად ჯვაროსნული ომები და ჯიპადისტური დაჯგუფებების მიერ ინტერპრეტირებული სალაფიტური ისლამი, რომელიც რწმენის პირვანდელი სახის ცოდვისა და გარეუნილებისან დაცვისა და განწმენდის ძალადობრივ მეთოდებს ქადაგებს.

კულტურა და იდენტობის კრიზისი დაკავშირებულია კულტურულ მარგინალიზაციასთან, როდესაც წებისმიერი სახის უმცირესობის წარმომადგენლები ვერ მიაკუთვნებენ თავს დომინანტ კულტურას, უჭირთ ინტეგრაცია და, შესაბამისად, თავს „სხვად“ და გარიყულად გრძნობენ. როგორც წესი, ნოენიერ ნიადაგს რადიკალური იდეებისადმი სოლიდარობის ჩამოსაყალიბებლად გაუცხოვების და უსამართლობის განცდა ქმნის.

ტრავმა და მისი გამოწვევის მექანიზმები გულისხმობს ბავშვობაში გადატანილ ფსიქოლოგიურ ტრავმებს ან პოსტ-ტრავმულ აშლილობებს. გარდა ამისა, ეს ფაქტორი აერთიანებს სხვადასხვა სახის მრავალმხრივ ფსიქოლოგიურ პრობლემას.

ჯგუფური დინამიკა დაკავშირებულია ჯგუფის ფორმირებასთან, ჯგუფის ნორმების ჩამოყალიბებასთან. ამ დროს იქმნება შემდგომში ჯგუფის წევრებზე ზეგავლენის ერთგვარი ინსტრუმენტი. ჯგუფის დინამიკის სიძლიერე მისი წევრების ერთმანეთთან მიზიდულობის ხარისხით განისაზღვრება. ჯგუფური დინამიკის წყალობით, ინდივიდმა, შესაძლოა, ისეთი გზა აირჩიოს, რომელზედაც თავად არასდროს უფიქრია და ბრმად მისდიოს ჯგუფის შიგნით არსებულ იდეალებს. შესაბამისად, რადიკალიზაცია და ძალადობრივი ექსტრემიზმი ძალიან მარტივად შეიძლება წარმოიშვას ერთი იდეოლოგიის ქვეშ გაერთიანებულ ჯგუფში.

რადიკალიზატორები მოიცავს სიძულვილის ენით მოსაუბრე ადამიანებს, რომელებიც საზოგადოებაში უარყოფითი შინაარსის მქონე გზა-ვნილებს ავრცელებენ და ასევე, იმ ადამიანებს, რომლებიც მოწყვლად

ჯგუფებში დარწმუნების, ზეწოლისა და მანიპულაციების გზით ეძებენ/არჩევენ პოტენციურ თანამოაზრეს.

სოციალური მედია თანამედროვე ეპოქაში ყველაზე ხელ-საყრელ პლატფორმაა ინფორმაციის სწრაფ, სასურველ ფორმატში გასავრცელებლად და პოტენციური თანამოაზრების შესარჩევად. სწორედ სოციალური მედიის საშუალებით ხდება სიძულვილის ენის და ყალბი ინფორმციის ტირაჟირება. არსებობს უამრავი ღია და დახურული ჯგუფი, მობილური აპლიკაცია თუ გვერდი/არხი, რომლებიც ადამიანს პირდაპირ მოუწოდებენ, ზემოქმედებენ მათ ემოციურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე, რომ დრო არ დაკარგონ და შეუერთდნენ სხვადასხვა პროფილის მქონე ძალადობრივ გაერთიანებებს. უმეტეს შემთხვევებში ძალიან რთულია ერთმანეთისგან ნამდვილი და ყალბი ამბების გარჩევა. შესაბამისად, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ინდივიდი ამა თუ იმ მოწოდების ზეგავლენის ქვეშ მოექცევა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს რადიკალიზაციის სხვადასხვა დონეები და გავრცელების სისწრაფე. აქედან გამომდინარე, განასხვავებენ რადიკალიზაციის მამოძრავებელ ორ, განმზიდველ და მიმზიდველ ფაქტორს.

განმზიდველი (push)	მიმზიდველი (pull)
<p>სამოგადოებაში არსებული რთული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები და სხვა პირადი ფაქტორებით განპირობებული ნებატიური ფონი, რომელიც უბიძგებს ადამიანს ძალადობისა და ძალადობრივი იდეოლოგისკენ</p>	<p>არსებული „მომხიბვლელი“ პირობები და ფაქტორები, რომელიც ხელს უწოდს ინდივიდის ჩართვას ძალადობრივ და რადიკალურ ორგანიზაციაში, რომლის მეშვეობითაც შეძლებს საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებას</p>

განმზიდველი (Push) ფაქტორებია მეტ-ნაკლებად რთული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, უსამართლობის, მარგინალიზაციისა და დისკრიმინაციის განცდა; პირადი იდენტობის კრიზისი და ტრაგედია; იმედგაცრიებისა და გაუცხოების განცდა და ა.შ. ამ ფაქტორების არსებობა ინდივიდს უბიძგებს ძალადობისკენ.

მიმზიდველი (Pull) ფაქტორებია უკვე არსებული ძალადობრივი დაჯგუფებები; იდეოლოგიებით შეპყრობა და მისი რომანტიზაცია; დიდებისა და ძალაუფლების მოპოვების სურვილი; ახალი შესაძლებლობების არსებობა; მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და ა.შ. ეს ყოველივე, ინდივიდს ხელს უწყობს ჩაერთოს ძალადობრივ და რადიკალურ ორგანიზაციებში.

მაკოლი და მოსკალენკო (2014) გვთავაზობენ ორი პირამიდის მოდელს, აზრების პირამიდა და ქმედებების/ქცევების პირამიდა, სადაც ერთმანეთისგან ნათლადაა გამიჯნული ორი შემთხვევა: 1.რადიკალური აზრები, რომლებიც, შესაძლოა, ექსტრემისტულ **აზრებში** გადაიზარდოს და 2.რადიკალური აზრები, რომლებიც ექსტრემისტულ **ქცევად** გარდაიქმნება.


აზრების პირამიდა



აზრების პირამიდის პირველ საფეხურზე დგანან ისეთი ადამიანები, რომლებსაც არსებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება არ ადარდებთ და ამიტომ ნეიტრალურ პიროვნებებად განიხილებიან. პირამიდის მეორე საფეხურს იკავებენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც არ აკმაყოფილებთ ის გარემო, რომელშიც ცხოვრობენ, თუმცა

ძალადობის გამოყენებას (თუნდაც სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლის მოტივით) არ ამართლებენ. პირამიდის მომდევნო საფეხურზე დგანან ისინი, ვინც არასასურველი სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარების შესაცვლელად ძალადობის გამოყენებას გამართლებულად მიიჩნევენ. პირამიდის თავში კი დგანან ადამიანები, გარემოს შესაცვლელად ძალადობის გამოყენებას მორალურ ვალდებულებად რომ მიიჩნევენ. პირამიდულ მოდელში შემავალი საფეხურები შეიძლება შეიცვალოს ინდივიდის მოსაზრებების მიხედვით, ანუ ადამიანმა შეიძლება გამოტოვოს რამდენიმე საფეხური და ქვემოდან ზემოთ (ან პირიქით) გადაინაცვლოს.

ქმედებების (ქცევების) პირამიდა



ქმედებები (ქცევების) პირამიდის პირველ საფეხურზე იმყოფებიან ადამიანები, რომლებიც ინერტულად არიან განწყობილი და არაფერს აკეთებენ თავიანთი საცხოვრებელი გარემოს შესაცვლელად. პირა-მიდის მომდევნო საფეხურს იკავებენ ისინი, ვინც კანონის ფარლებში მოქმედებენ და არსებული პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური ვითარების უკეთესობისკენ შეცვლას ცდილობენ. მათ ხშირად აქტივ-ისტებად მოიხსენიებენ. მათ ზემოთ არიან ადამიანები, რომლებიც არა-

ლეგალურ და არაკანონიერ აქტივობებში ერთვებიან და, შესაბამისად, რადიკალებად მიიჩნევიან. პირამიდის წვერში კი ერთიანდებიან ადამი-ანები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო იყენებენ ძალადობას და გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ სხვა ადამიანებს. მათ ტერორისტებად მოვიხსენიებთ.

პირამიდულ მოდელში შემავალი საფეხურები შეიძლება შეიცვალოს ინდივიდის მოსაზრებების მიხედვით, ანუ ადამიანმა შეიძლება გამოტოვოს რამდენიმე საფეხური და ქვემოდან ზემოთ (ან პირიქით) გადაინაცვლოს.

აღნიშნულიდან შეიძლება შეიძლება დავასკვნათ, რომ მრავალმხრივი ბუნებიდან და გამომწვევი მიზეზებიდან გამომდინარე, რადიკალიზაცია და ძალადობრივი ექსტრემიზმი საკვლევად და დასაძლევად ურთულესი ფენომენებია. შედეგების მისაღწევად აუცილებელია ამ ფენომენების სიღრმისეული შესწავლა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტის კოორდინირებული მუშაობა. მხოლოდ ასეთი მიდგომით შევძლებთ დავეხმაროთ მოსწავლეებს მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებაში.

სავარჯიშო 1

სთხოვეთ მოსწავლეებს, იმსჯელონ და დაასაბუთონ ვაჟა-ფშაველასა და ვოლტერის ზემოთ მოყვანილი ციტატების ჭეშმარიტება/მცდარობა.

სავარჯიშო 2

უფლებათა დამცველი, რომელიც ახალგაზრდებსა და საზოგადოების სხვა წევრებს ტოლერანტობას, განსხვავებულის მიმღებლობასა და მშვიდობისმოყვარეობას ასწავლიდა, განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის გამო ერთერთი ნაციონალისტური დაჯგუფებისთვის თავად აღმოჩნდა მიუღებელი, რაც, საბოლოოდ, ამ ადამიანის სასტიკი მკვლელობით დასრულდა.

სთხოვეთ მოსწავლეებს, იმსჯელონ მოყვანილ ქეისზე.

თავი V. რადიკალიზაცია და ექსტრემიზმი ახალგაზრდებში - ნიშნები, მიზეზები, ამოცნობა, რეაგირება და თავიდან აცილება

„თუ მართალი ხარ, შეუძლებელია იყო მეტისმეტად რადიკალური; თუ ცდები, ვერ იქნები მეტისმეტად კონსერვატორი“.

მარტინ ლუთერ კინგი უმცროსი

არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ რადიკალური იდეები ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სივრცეში და ძალიან სწრაფად შეიძლება გაჩნდეს. მიუხედავად იმისა, რომ რადიკალიზაციის პროცესში ჩართვა არ არის დაკავშირებული მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ ასაკთან, სქესთან, ჯგუფთან თუ საზოგადოებასთან, მისდამი განსაკუთრებულად მოწყვლადი ჯგუფი ახალგაზრდები არიან. ალბათ, პოლიტიკური ლიდერების და სხვადასხვა გავლენიანი ადამიანების სიტყვით გამოსვლის პროცესში ხშირად გვსმენია, რომ მომავალი ახალგაზრდებს ეკუთვნით. ეს, რომ ნამდვილად ასეა, ამაზე არავინ დავობს. სწორედ, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, იმ მიზეზების ზუსტად დადგენა, რის გამოც ახალგაზრდები რადიკალიზაციის პროცესში ერთვებიან და მეორე მხრივ, მომავალი თაობისთვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნასა და სწორი ლირებულებითი სისტემის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა. რატომ შეიძლება ახალგაზრდა დაინტერესდეს რადიკალური იდეებით?

ახალგაზრდების რადიკალიზაციის მიზეზები, პირობითად, შეგვიძლია სამ ჯგუფად გავაერთიანოთ. პირველ ჯგუფში შედის ისეთი კონტექსტუალური და გლობალური ფაქტორები, რომლებიც ინდივიდს მიღმა, გარემოში მდებარეობს და ახალგაზრდას მასზე ზეგავლენა ნაკლებად შეუძლია. ასეთი ფაქტორებია, ქვეყნის შიგნით ან გარეთ (მსოფლიოში) არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. გლობალურად მიმდინარე პროცესების გავლენით იცვლება ადგილობრივი ვითარებაც - იზრდება უმუშევრობის მაჩვენებელი, იმატებს სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციისა და სტიგმატიზების ალბათობა, რაც, თავის მხრივ, ხშირად ხდება უნდობლობის, უკმაყო-

ფილების და მარგინალიზაციის მიზეზი. გარე ფაქტორების ზემოქმედებაზე თითოეული ინდივიდი განსხვავებულად რეაგირებს. შესაბამისად, ისეთი სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმები, როგორებიცაა აღქმული უსამართლობა და ჯგუფისადმი კუთვნილების გრძნობა, ადვილად შეიძლება იქცეს მარტობისა და გარიყულობის განცდად, რაც ახალგაზრდას აიძულებს გამოსავალი (თავისი თავი) რადიკალურ იდეებში ეძებოს (Moors და van den Reek Vermeulen, 2010).

მეორე ჯგუფში ერთიანდება ინდივიდუალური განმზიდველი (Push) ფაქტორები: 1. იმპულსურობა, ხიფათის და თავგადასავლების სიყვარული, ადრენალინის მოთხოვნილება და ა.შ; 2. იმედგაცურება, ზიზღი, სიბრაზე, შიში. წევატიური ემოციებით გამოწვეული ქცევა ან მზაობა ამგვარი ქცევისადმი, იოლად შეიძლება იქცეს ძალადობრივი ქმედებების საფუძველად (Doosje, Loseman, და van den Bos 2013; Riek და სხვები, 2009).

მესამე ჯგუფში ერთიანდება გარემოში არსებული ისეთი მიმზიდველი (Pull) ფაქტორები, როგორებიცაა: 1. სხვადასხვა ძალადობრივი და ჯგუფების მიერ გავრცელებული მომხიბვლელი დაპირებები მტკიცნეული საკითხების, ფუნდამენტური სოციალური და ფსიქოლოგიური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე (Mellis 2007; Bjørgo 2002, 2012). 2. იდეოლოგის გარშემო გაერთიანება, მიკუთვნებულობის გრძნობის გაჩენა (Sillke, 2008). 3. ახალი ოჯახისა და მეგობრების შეძენა, რომლებიც ინდივიდის მიერ სწორად მიჩნეულ შეხედულებებსა და იდეოლოგიებს განუსჯელად იზიარებენ და მის ახალ იდენტობას აღიარებენ (Olesen, 2009; Sageman, 2004; Bjørgo, 2002, 2011; Atran, 2010).

ამრიგად, როდესაც ახალგაზრდის ცხოვრებაში სოციალური ინტეგრაციის, მიკუთვნებულობის და იდენტობის კრიზისი დგება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რადიკალური და ექსტრემისტული და ჯგუფებები მათ სამ რამეს სთავაზობენ (Fermin, 2009):

1. პასუხს ეგზისტენციალურ კითხვებზე - ახალგაზრდები სხვადასხვა იდეოლოგიებისადმი მიკუთვნებულობით პასუხებს პოულობენ თავიანთი ცხოვრების არსა და მნიშვნელობაზე;

- პოლიტიკური აქტივობის სახით (ეს აქტივობები უმეტესწილად ძალადობრივი აქტების შემცველია) პასუხს უსამართლობაზე; არნმუნებენ, რომ უსამართლობასთან ბრძოლა შესაძლებელია;
- მიკუთვნებულობის განცდას და ახალი ოჯახის შეძენის შესაძლებლობას; შესაბამისად - პერსპექტივას, თავი სოციალური ჯგუფის და კონკრეტული საზოგადოების სრულფასოვან წევ-რებად იგრძნონ.

როგორ ხდება ახალგაზრდების რადიკალურ და ძალადობრივ დაჯგუფებებში გადაბირება?

თანამედროვე ინტერნეტიზაციის ყველაზე დიდ მიღწევად შეგვიძლია ყველანაირი ინფორმაციის მაქსიმალურად სწრაფად მიღების შესაძლებლობა და დროისა და სივრცის გაქრობა მივიჩნიოთ. ონლაინ სივრცე დიდი ხანია გასცდა მხოლოდ ინფორმაციის მიღების და გართობის შესაძლებლობას, მანა შეიძინა პლატფორმის ფუნქციაც, სადაც უამრავი სოციალური და პოლიტიკური კამპანია თუ აქტივობა იგეგმება და ხორციელდება. ამავე დროს, ონლაინ სივრცის სწრაფად განვითარებამ თითქმის შეუძლებელი გახადა რეალური და გამოგონილი ამბების ერთმანეთისაგან გარჩევა, პროპაგანდით გამოწვეული საფრთხეების თავიდან არიდება და ა.შ. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ ინტერნეტ სივრცეში და, კერძოდ, სოციალურ ქსელებში თავიანთი იდეოლოგიის გასავრცელებლად და პოტენციური მხარდაჭ-ჭრების მოსაძიებლად თავი მოიყარეს რადიკალურმა და ექსტრემისტულმა დაჯგუფებებმა.

არსებობს ახალგაზრდების ორი ტიპი: ერთი აქტიურად ეძებენ თავისი იდეოლოგიის შესაბამის ჯგუფებს და თავადვე ექცევიან რადიკალური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ; მეორენი პასიურად ადევნებენ თვალს მსოფლიოში მიმდინარე სხვადასხვა ძალადობრივი შინაარსის მქონე მოვლენებს. სწორედ ეს კატეგორიაა რადიკალთა მრავალფეროვანი, გულისამაჩუქებელი ვიდეო რგოლების თუ გზავნილების სამიზნე. ასეთი ტიპის ვიდეორგოლები და გზავნილები სასურველი და მომხიბვლელი მომავლის წარმოჩნდების გზით ცდილობენ ახალგაზრდის მოხიბვლასა და გადაბირებას. მსგავსი შინაარსის მქონე ვიდეოებით

თუ გზავნილებით სავსეა ჩვენი ვირტუალური სამყარო. მიწოდებული ინფორმაცია კრიზისში მყოფი ახალგაზრდის გონიერაში ნელნელა იღე-ქება და საბოლოოდ უსამართლობისა და სიბრაზის დაუოკებელ განც-დას იწვევს. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება ახალგაზრდების ძალადობრივ და ექსტრემისტულ ჯგუფებში გადაპირება (Schils da Verhage, 2017).

ახალგაზრდებს, შესაძლებელია, ჰყავდეთ მისაბაძი ადამიანები ან სულიერი ლიდერები/წინამძღვრები, რომლებიც, როგორც წესი, კონ-ფლიქტურ ზონებში მიმდინარე უსამართლო მოვლენებით ახალგაზრ-დების გრძნობებით მანიპულირებენ. შეიძლება ახალგაზრდებისთვის მისაბაძად იქცეს კონფლიქტის ზონიდან დაბრუნებული მებრძოლიც, რომელიც მიმზიდველად ხატავს მებრძოლთა ცხოვრებას. მათზე შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ძალადობრივი და რადიკალური დაჯგუფებების ლიდერების საზოგადოებრივმა სტატუსმა და მატერი-ალურმა მდგომარეობამ. ასევე, შეიძლება იმოქმედოს სტერეოტიპებმა, როდესაც ინდივიდი ფაქტებს და მოვლენებს გამარტივებული ნიშნების, თვისებების, მოდელების მიხედვით აერთიანებს. ასე მიიღება საზო-გადოების ცნობიერებაში მყარად გამჯდარი წარმოდგენა, ამა თუ იმ ფაქტის აღქმის ერთადერთი, უცვლელი, მყარი სქემა - სტერეოტიპი.

როგორც ვხედავთ, ახალგაზრდების რადიკალიზაციისა და ძალ-ადობრივი ექსტრემიზმის პროცესში ჩაბმა დამოკიდებულია მრავალ ურთიერთგადაჯაჭვულ ფაქტორზე. ამიტომ, სკოლა და მასში შემავალი თითოეული რგოლი ვალდებულია, პასუხისმგებლობა აიღოს ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე:

- სკოლის როლი მოსწავლისთვის არა მხოლოდ განათლების მიცე-მაა, არამედ მისი საღად მოაზროვნე და აქტიურ მოქალაქედ აღზრდა;
- სკოლის პერიოდში მოსწავლეებს უნდა ჩამოუყალიბდეთ ჯან-საღი ღირებულებათა სისტემა;
- სკოლა და მასწავლებელი მომავალი თაობისთვის მაგალითის მიმცემი უნდა იყოს;
- სკოლა თითოეული მოსწავლისათვის უნდა ქმნიდეს უსაფრთხო და დაცულ სივრცეს;

- სკოლა მორგებული უნდა იყოს მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებს;
- სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს ბულინგის შემთხვევებს;
- სკოლა აუცილებლად უნდა ზრუნავდეს კიბერ უსაფრთხოებაზე;
- მასწავლებელს არ უნდა გამოეპაროს თავის მოსწავლეში არც ერთი ცვლილება;
- მასწავლებელმა დროულად უნდა იმოქმედოს, როდესაც მოსწავლეში რადიკალური იდეების ელემენტებს შენიშნავს;
- სკოლა მუდმივად უნდა ცდილობდეს სკოლაში მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები დანერგვას;
- სკოლა და მასწავლებელი მუდმივად უნდა ცდილობდნენ განვითარებას და მოსწავლეებისათვის ინოვაციური სიახლეების შეთავაზებას;
- სკოლასა და მასწავლებლებს შეუძლიათ ონლაინ აპლიკაციების შექმნა და სასწავლო პროცესში მათი ინტეგრირება.

და ბოლოს, რადიკალურ და ძალადობრივ იდეებთან ბრძოლა რთული და ხანგრძლივი პროცესია. ამიტომ აუცილებელია, ამ საკითხებზე ცოდნის მუდმივი გაღრმავება, ახალი ინფორმაციების მოძიება, პრევენციული ტაქტიკების შესწავლა და მოსწავლესთან და მის მშობლებთან დროული და სწორი კომუნიკაცია.

რადიკალიზაცია და ძალადობრივი ექსტრემიზმი გულისმობს პროცესს, როდესაც ადამიანებს უჩინდებათ მოტივაცია, მათთვის სასურველი და იდეოლოგიურად მოტივირებული/გამართლებული მიზნების მისაღწევად სხვა ჯგუფების და/ან პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების მიმართ გამოიყენონ ძალადობრივი მეთოდები. რადიკალური და ძალადობრივი იდეოლოგიის გავლენაში მოქცევის განმაპრობებელი მრავალი ფაქტორი არსებობს. ზოგჯერ მხოლოდ ერთი ფაქტორიც საკმარისია, ზოგჯერ რამდენიმე, ზოგჯერ კი ყველა ერთად უბიძგებს ადამიანს აღიაროს რადიკალური და ძალადობრივ იდეები და მისდიოს მათ.

რა თქმა უნდა, რადიკალიზაციის პროცესში ჩაბმას გააჩნია თავისი საწყისი წერტილი. არსებობს გარკვეული ნიშნები, რომლის საშუალება-ითაც შეგვიძლია რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის ელემენტები ადრეულ ეტაპზე გამოვავლინოთ და, შესაბამისად, პრე-ვენციულ ზომებს მივმართოთ. თუმცა, მათი არსებობა ყოველთვის არ არის რადიკალური და ძალადობრივი იდეების რწმენის ან ამგვარ დაჯგუფებთან კავშირის ცალსახა და უტყუარი მტკიცებულება.

რადიკალიზაცია და ძალადობრივი ექსტრემიზმი უნდა გავიაზროთ, როგორც თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი გამოწვევა, რომელიც: 1. ხელს უშლის ადგილობრივ (ქვეყნის შიდა) და გლობალურ (მსოფლიო) განვითარებას, მშვიდობასა და თანამშრომლობას; 2. ინვევს გარკვეული ჯგუფების მარგინალიზებას და დისკრიმინაციას, მსუყე ნიადაგს ქმნის კონფლიქტებისთვის.

მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ:

- ის ყველას მასწავლებელია;
- თითოეულ მოსწავლეს ინდივიდუალური საჭიროებები აქვს;
- თითოეულ მოსწავლესთან საჭიროა განსხვავებული მიდგომების გამოყენება;
- პასუხისმგებელია თითოეული მოსწავლის პირად წარმატებასა და პროგრესზე;
- მოსწავლეს უნდა განუვითაროს ყველა საჭირო უნარი, რომელიც მას ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაეხმარება;
- არც ერთი მოსწავლე არ არის დაცული რადიკალური და ძალადობრივი იდეოლოგიების ზეგავლენისაგან;
- სჭირდება სიფრთხილე და ამომწურავი ინფორმაცია;
- არ უნდა გამოეპაროს თავის მოსწავლეში ნებისმიერი სახის ემოციური და ქცევითი ცვლილებები.

საინტერესოა რადიკალურ იდეებში ჩაბმის პროცესიც. ვიქტორ-ოვიჩის თანახმად (Wiktorowicz, 2005), პირველ ეტაპზე ინდივიდს საზოგადოებისგან გარიყულობის გრძნობის გამო უჩნდება შემეცნებითი მზაობა ახალი ადამიანების, ახალი იდეების მისაღებად. შემდეგ ადამიანი

ცდილობს პირადი ურთიერთობა დაამყაროს აქტივისტებთან ან თვითონ რაიმე სახით ჩაერთოს სხვადასხვა აქტივობებში. მომდევნო ეტაპზე, ინდივიდი უკვე იზიარებს და აღიარებს რადიკალური იდეებისა და რადიკალური ლიდერების ლეგიტიმურობას. ბოლოს, ამ ეტაპებს მივყავართ იქამდე, რომ ინდივიდი აკეთებს რაციონალურ არჩევანს, გახდეს მსგავსი იდეების მიმდევარი და თანამებრძოლი.

სამოქალაქო განათლების პედაგოგებს განსაკუთრებული მისია აკისრიათ რადიკალური იდეების შემჩნევას, გამოვლენას, მათ მიმართ სწორად მიდგომასა და პრევენციაში. სწორედ, მათ უნდა ასწავლონ მოსწავლეებს, როგორ ჩამოყალიბდნენ დემოკრატიულად მოაზროვნე მოქალაქეებად, როგორ სცენ პატივი განსხვავებულ მოსაზრებას, როგორ მოახერხონ მშვიდობიანი თანაარსებობა განსხვავებული კულტურული, სოციალური, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებების მქონე ადამიანებთან.

როგორ უნდა მოახერხოს ეს ყველაფერი?

უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო განათლების პედაგოგს თავად უნდა ჰქონდეს გააზრებული საზოგადოების მრავალფეროვნება, კანონის უზენაესობა და მშვიდობის მშენებლობის მნიშვნელობა. უნდა შეეძლოს ისეთი საკლასო გარემოს შექმნა, სადაც თითოეული მოსწავლე თავს იგრძნობს დაცულად და, შესაბამისად, თამამად გამოთქვამს თავის მოსაზრებას. პედაგოგის ოსტატობა სწორედ ის არის, რომ მან შეძლოს და სწორად დაიჭიროს ის „სასწავლო მომენტები“, რომელიც ყველაზე მეტად გამოდგება მსგავსი თემების განხილვისა და დისკუსიისთვის.

რადიკალური განწყობები ზოგჯერ იმდენად ძლიერია, რომ მათი შეხედულებებისაგან განსხვავებული მოსაზრებების არსებობისა არათუ მოსწავლეს, თვით განსაკუთრებულად მძლავრი გონების ადამიანსაც კი უჭირს. შესაბამისად, მასწავლებელი ვალდებულია, სამოქალაქო განათლების სასწავლო კურსის ფარგლებში მოიცვას ყველა ის თემა, რომელიც ადამიანის უფლებებს, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ჩართულობის აუცილებლობას, დემოკრატიას, ტოლერანციობას და თანასწორობის მნიშვნელობას ეხება. პედაგოგებმა მოსწავლეებს თავიდანვე უნდა აუხსნან, რომ ჯანსაღი, დემოკრატიულ რელსებზე

მდგარი ქვეყნის მთავარი ღირებულება თავისუფალი ადამიანია და ნები-სმიერ პირს, განურჩევლად რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილებისა, უფლება აქვს, თავისი აზრი გამოხატოს. მოსწავლეებს უნდა მიაწოდონ პოზიტიური შინაარსის მაგალითები, რეალური ამბები და შემთხვევები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამოქალაქო განათლების პედაგოგი ახალგაზრდას უნდა დაეხმაროს ისეთი უნარების გამომუშავებაში, რომ-ლებიც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში არამხოლოდ მართებული არჩევნის გაკეთებაში, არამედ ტოლერანტული განწყობების ჩამოყალ-იბებაშიც დაეხმარება.

გარდა ამისა, სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლეებში საზოგადოებრივ ცხოვრებაში თუ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტივური მონაწილეობის სურვილი გააღვიძონ სხვა-დასხვა აქტივობაში მათი ჩართვისა და წახალისების გზით, დაანახონ თავიანთი როლი ისეთი სამოქალაქო საზოგადოების შექმნის პროცესში, რომელშიც არსებობს საყოველთაოდ გაზიარებული ნორმები და ღირე-ბულებები, ხოლო ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე, ზოგადად, განათლების ხელ-მისაწვდომობის ზრდა და, კერძოდ, სამოქალაქო განათლება უმნიშ-ვნელოვანესი ინსტრუმენტია რადიკალურ იდეებთან საბრძოლველად.

როგორ მოვიქცეთ, თუ მცდელობების მიუხედავად მოსწავლე დიალოგზე არ მოდის?

ასეთ შემთხვევებში, სასურველია, ვაცნობოთ სკოლის დირექციას, სკოლის ფსიქოლოგს და მოსწავლის ღირებულებათა სისტემის ცვლი-ლების გზებზე ერთად ვიფიქროთ. შესაძლებელია მოვიწვიოთ სფეროში მომუშავე ექსპერტები და გავმართოთ სემინარები, პრეზენტაციები, ლექციები ამ მიმართულებით ცნობიერების ასამაღლებლად.

ამრიგად, საგანმანათლებლო დაწყებულების მთავარი ამოცანაა შექმნას უსაფრთხო და მშვიდი გარემო, სადაც თითოეულ მოსწავლეს ღიად, ყოველგვარი შიშისა და დაძაბულობის გარეშე შეეძლება საკუ-თარი აზრის დაფიქსირება. სასკოლო გარემო უნდა იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული, ხოლო სასკოლო რგოლში შემავალი თითოეული

თანამშრომელი სათანადო ინფორმაცით და უნარებით აღჭურვილი, რათა საჭიროების შემთხვევაში შეძლონ დროული და პრევენციაზე მიმართული რეაგირება.

სავარჯიშო 1

ქრისტიანის ოჯახში დაბადებული ორი მუსულმანი ძმა სირიაში წავიდა საბრძოლვებლად. წასვლის მიზეზები, სავარაუდოდ, მრავალ-ფეროვანია. ძმებმა ისლამურ სახელმწიფოში საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწიეს, როგორც მებრძოლთა ლიდერებმა.

ხშირად რეალობა ძალზე შორს არის იმისაგან, რის გამოც ადამი-ანები საბრძოლვებლად წასვლას ირჩევენ, განსაკუთრებით, თუ გავით-ვალისწინებთ იმ უამრავ სისასტიკეს, რასაც ისინი რელიგიის სახელით სჩადიან. ძმებიდან ერთ-ერთი ამერიკის შეერთებული შტატების მხრი-დანაც კი იძებნებოდა, როგორც ტერორისტი. საბოლოოდ, ძმები ომში დაიღუპნენ.

მათი საეჭვო ღირებულების მქონე გადაწყეტილებისა და ტრაგი-კული აღსასრულის მიუხედავად ძმები სამაგალითოდ იქცნენ ზოგი თანამემამულე ახალგაზრდისთვის, რომლებმაც იგივე გზის გავლა და ცხოვრების ისეთივე დასასრული არჩიეს.

სთხოვეთ, მოსწავლეებს იმსჯელონ:

- ა) რატომ ინტერესდებიან ახალგაზრდები რადიკალური იდეებით/ქმედებებით?
- ბ) რა როლი აქვს ოჯახს, საზოგადოებას, სახელმწიფოს ახალგაზრდების დაცვის თვალსაზრისით?
- გ) როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო და რა როლი ეკისრება მას ტერორიზმის პრევენციაში?

სავარჯიშო 2

მასწავლებელი ჯგუფებად გაყოფილ მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს „სკოლა ტყის პირას“. მოსწავლეები ყურადღებით ეცნობიან ტექსტში აღნერილ სიტუაციას, პასუხობენ ტექსტის პოლოს

დასმულ კითხვებს და ცდილობენ კონფლიქტური სიტუაციიდან გამო-სავლის მოძებნას. თითო ჯგუფიდან თითო მოსწავლე ჯგუფის სახელით წარმოადგენს პრეზენტაციას კონფლიქტური სიტუაციის გადაჭრის კონკრეტული ვარიანტის შესახებ.

სამუშაო ფურცელი: „სკოლა ტყის პირას“

უღრანი ტყის პირას ადამიანთა ჯგუფი ცხოვრობდა. ამ თემში შვილებს წინაპართა რელიგიური და კულტურული შეხედულებების მიხედვით ზრდიდნენ; მათი რელიგიისა და კულტურის მიხედვით, არ არსებობდა განსხვავება მამაკაცსა და ქალს შორის.

თემის საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით იყო ზეგანი, სადაც განსხვავებული კულტურის მქონე თემი ბინადრობდა; ეს იყო მებრძოლი ხალხი, სადაც დომინანტურ ფუნქციას მამაკაცები ასრულებდნენ. ქალებს ძალიან აფასებდნენ, მაგრამ ქალი ხელმძღვანელები არ ჰყავდათ.

ტყის და ზეგანის თემებს ერთმანეთთან მხოლოდ სიძულვილი და შიში აკავშირებდათ. წარსულში ისინი ერთმანეთს ეომებოდნენ. ერთ დღეს ახალგაზრდა კაცი მივიდა ტყის პირას მაცხოვრებელ თემთან და სკოლის აშენება შესთავაზა. ამ სკოლაში ორივე თემის ბავშვები ივლიდნენ, რაც მათ დაახლოებას შეუწყობდა ხელს.

მალე ააშენეს ხის მოკრძალებული შენობა და მასწავლებელიც მოძებნეს. ორივე თემის ბავშვები სკოლაში წავიდნენ. მშობლები და თემის ხელმძღვანელები გულდასმით ელოდნენ მოვლენათა განვითარებას.

თავდაპირველად იყო გარკვეული პრობლემები ბავშვებს შორის; ისინი ხშირად ჩხუბობდნენ. მალე ბავშვები დარწმუნდნენ, რომ სკოლა-ში სიარული სასარგებლო იყო და ერთმანეთს უკეთესად ეგუებოდნენ. მასწავლებელი მკაცრი იყო, მაგრამ სამართლიანი და ყველა ბავშვს თანასწორად ეპყრობოდა. მასწავლებელი ორივე თემის ცხოვრების წესს სცემდა პატივს და ბავშვებს ამ ორ თემს შორის არსებული განსხვავებების შესახებ ასწავლიდა. სკოლაში უფრო და უფრო მეტი ბავშვი დადიოდა.

თანდათანობით გამოიკვეთა, რომ სკოლის მოსწავლეთა დიდ ნაწილს ზეგანზე მაცხოვრებლები შეადგენდნენ. სკოლაში ყოველი 4 ბავშვიდან მხოლოდ ერთი იყო ტყის თემიდან. მასწავლებელი ორივე თემის წარმომადგენლებთან საუბრობდა და არწმუნებდა, რომ ბავშვების სკოლაში გამოშვება აუცილებელი იყო.

ერთ დღეს სკოლაში მისულ მასწავლებელს სკოლა გადამწვარი დახვდა.

კითხვები:

- ვის შეიძლება გადაეწვა სკოლის შენობა? რატომ?
- ვინ მოიგებს და ვინ წააგებს, თუ სკოლას არ აღადგენენ?
- ამ სკოლის მოსწავლე რომ იყოთ, მასწავლებლის როგორ ქცევას ისურვებდით?
- თქვენი აზრით, თქვენი თემის წარმომადგენლებს ეს მასწავლებელი მოეწონებოდათ?
- შეუძლია პიროვნებას საზოგადოებაზე ზემოქმედება? მოიტანეთ მაგალითები.
- უწყობს თუ არა ხელს ადამიანების ორ სხვადასხვა ჯგუფს შორის მშვიდობის დამყარებას მათი ბავშვების ერთად სწავლა?
- რა გამოწვევების წინაშეა სკოლა და მასწავლებლები, სადაც სხვადასხვა ღირებულებისა და კულტურის მქონე მოსწავლეები სწავლობენ? როგორ შეიძლება ამ გამოწვევების აღმოფხვრა?

სავარჯიშო 3

მსოფლიოში შეიმჩნევა ულტრა მემარჯვენე ძალების წინ წამონევის ტენდენცია. საქართველოს შემთხვევაში, რადიკალური მემარჯვენე ძალების პოპულარობას ხელი შეუწყო რამდენიმე ფაქტორმა: არაბული ქვეყნებიდან ტურისტების გაზრდილმა რაოდენობამ, ანტიდისკრიმინაციული კანონის დამტკიცებამ და ა.შ. ულტრანაციონალისტური, პატრიოტიზმის სახელით მოქმედი დაჯგუფებები გამოირჩევიან აგრესიით, ძალადობის შემცველი მუქარებითა და ქცევებით. მათი მხრიდან,

ხშირად ისმის სხვადასხვა მოწოდებები და ინიციატივები. მაგალითად, „სახალხო პატრული“ დაკომპლექტდება ეროვნული სულისკვეთების მქონე ახალგაზრდებით. ისინი იპატრულირებენ აღმაშენებლის გამზირზე და ლესელიძეზე. მიგრანტების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევაში ისინი აღკვეთენ ფაქტს. აღმაშენებელს და ლესელიძეს სრულად გააკონტროლებს „სახალხო პატრული“! დამთავრდება უცხოტომელების თავგასულობა თბილისში!!!”

სთხოვეთ, მოსწავლეებს იმსჯელონ:

- 1.რატომ ინტერესდებიან ახალგაზრდები რადიკალური იდეებით/ქმედებებით?
- 2.რა როლი აქვს ოჯახს, საზოგადოებას, სახელმწიფოს ახალგაზრდების დაცვის თვალსაზრისით?
- 3.როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო და რა როლი აქვს მას პრევენციის კუთხით?

სავარჯიშო 4

სთხოვეთ მოსწავლეებს, მოამზადონ ჯგუფური პრეზენტაციები შემდეგ საკითხზე: „როგორ უნდა დაუპირისპირდეს მედია და ინფორმაციული წიგნიერება ძალადობრივ ექსტრემიზმს?“

თავი VI. უფლებების სწავლება

„თუნდაც ერთი ადამიანის უფლებების შეღახვით, საფრთხე ემუქრება ნებისმიერი ადამიანის უფლებებს“.

ჯონ კენედი

„ნიგნიერება ტანჯვასა და იმედს შორის გადებული ხიდია; თანამედროვე საზოგადოებაში ყოველდღიური ცხოვრების იარაღია; დემოკრატიზაციის პლატფორმა, კულტურული და ეროვნული იდენტობების ხელშეწყობის ინსტრუმენტი; ყველგან და ყველასთვის საბაზისო ადამიანური უფლება... დაბოლოს, ნიგნიერება არის ადამიანური პროგრესის გზა, რომლის საშუალებით ნებისმიერ კაცს, ქალსა თუ ბავშვს თავისი პოტენციალის სრულყოფილად რეალიზება შეუძლია“.

კოფი ანანი

21-ე საუკუნის პოლიტიკური ლანდშაფტის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა „ადამიანის უფლებათა“ საერთაშორისო ენის დამკვიდრებაა. ადამიანის უფლებათა ხელშეწყობა და რეალიზაცია განათლების მეშვეობითა შესაძლებელი. ადამიანის და, კერძოდ, ბავშვთა უფლებები არის გამაერთიანებელი ძალა და საფუძველი მულტიკულტურულ საზოგადოებაში და გლობალურ სამყაროში. დღევანდელ მრავალფეროვან საზოგადოებებში მიგრაცია და მობილობა ცხოვრების ნორმად იქცა, ხოლო კულტურული იდენტობა მუდმივად იცვლება. ადამიანის უფლებების სწავლება გვაფიქრებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თანხმობა, სამართლიანობა, კულტურული პლურალიზმი და თანასწორობა მულტიკულტურულ საზოგადოებებში. მასწავლებლები ადამიანის უფლებათა სწავლებისა და დაცვის მნიშვნელოვანი სოციალური აგენტები არიან და მათი შრომა უფრო ტოლერანტული, სამართლიანი და თანასწორი საზოგადოების მშენებლობას ემსახურება - „მასწავლებელმა იცის და იცავს მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლის უფლებებსა და მოვალეობებს“.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში რვა ძირითადი მიზნიდან ერთერთია კანონმორჩილი და ტოლერანტი მოქალაქის აღზრდა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ აღნიშნულია, რომ „სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება“.

ადამიანის და, კერძოდ, ბავშვთა უფლებები შესაძლებელია დავიცვათ განათლების მეშვეობით, ცნობიერების ამაღლებით და მულტიკულტურულ საზოგადოებებსა და გლობალიზებულ მსოფლიოში ერთად ცხოვრებასთან დაკავშირებული ღირებულებების გააზრებით.

„ადამიანის უფლებათა სწავლება“ ნიშავს განათლებას, წვრთნას, ცნობიერების ამაღლებას, ინფორმაციას, პრაქტიკასა და საქმიანობებს, რომელთა მიზანია მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის იმ რესურსების მიწოდება, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ, წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა საყოველთაო კულტურის დანერგვისა და დაცვის საქმეში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დანერგვისა და დაცვის თვალსაზრისით.

ის, რომ განათლება არსებით როლს თამაშობს ევროპის საბჭოს ძირითად ღირებულებათა გავრცელებაში (დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა), ადამიანის უფლებათა დარღვევების აღკვეთაში და აღიარებულია ძალადობის, ექსტრემიზმის, ქსენოფობის, დისკრიმინაციის და შეუწყისარებლობის აღზევებისაგან დაცვის მექანიზმად, დასტურდება ორგანიზაციის 47 წევრი ქვეყნის (მათ შორის, საქართველოს) მიერ, რეკომენდაციის CM/Rec (2010)7 ფარგლებში მიღებული ევროპის საბჭოს ქარტიით „დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ“.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან განათლების საშუალებით ბრძოლა მსოფლიო დღის წესრიგში არც ისე დიდი ხნის წინ დადგა. ის პრობლემად აღიარებულია რიგი საერთაშორისო შეთანხმებებით: გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუცია 2250 „ახალგაზრდობა, მშვიდობა და უსაფრთხოება“; გაერთიანებული ერების გენერალური

მდივნის „მოქმედების გეგმა ძალადობრივი ექსტრემიზმის თავიდან ასაცილებლად“ (2015); ქალაქ მანილაში მიღებული დეკლარაცია „რადი-კალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის ზრდის საპირისპირო ქმედება“; ევროპის საბჭოს დოკუმენტი „საერთო ხედვა, ერთობლივი ქმედება: უფრო ძლიერი ევროპა, გლობალური სტრატეგია ევროკავ-შირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისთვის“ და სხვ.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები

ადამიანის უფლებათა თეორიისთვის ძირითად კონცეფციად თან-დაყოლილი ადამიანური ღირსების ცნება მიიჩნევა. ადამიანი უფლე-ბები და თავისუფლებები არ არის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სიკეთე. ისინი სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად არსებობენ. ადამიანის უფლებები ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა, რომელიც ერთი მხრივ, ეროვნულ საკონსტიტუციო და საერთაშორ-ისო სამართლებრივ სივრცეში აისახება, მეორე მხრივ კი ადამიანის საზოგადოებასთან, საზოგადოების წევრებთან და სახელმწიფოსთან თანაცხოვრებისა და ურთიერთმიმართების პირობებს განსაზღვრავს.

ადამიანის უფლებების პატივისცემისა და დაცვის მოძრაობა მოქა-ლაქის უფლებებს საერთაშორისო დონეზე განსაზღვრავს და გლობალ-ური სტრანდარტიზაციისაკენ ისწრაფვის. საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებები ერთნაირად ეხება მსოფლიოს ყველა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეს.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ის მინიმალური სტრან-დარტია, რომელიც წებისმიერ სახელმწიფოსა და ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, რომ მასზე სამართლებრივი და პოლიტიკური გად-აწყვეტილებები ეროვნული ფასეულობების შესაბამისად დააფუძნოს. სახელმწიფოს საშუალება ეძლევა ამ მინიმალური სტრანდარტის გათ-ვალისწინებით დემოკრატიული გადაწყვეტილებები მიიღოს, განახორ-ციელოს და ეს სტანდარტი საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის, მორალის, რელიგიური მრნამსის, კულტურული თვითმყოფადობის შესაბამის კანონებში ასახოს. ამასთან, წებისმიერი ხელისუფლების ძირითადი ვალდებულდებაა, მოქალაქეთა უსაფრთხოება და პირადი

კეთილდღეობის მიღწევის საშუალება სხვა მოქალაქეების ანალოგიური უფლებების დაცვით უზრუნველყოს.

სახელმწიფოს ვალდებულება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში სამ დონედ იყოფა:

1. პატივისცემის ვალდებულება, რომელიც ადამიანის ღირსების პატივისცემას გულისხმობს.
2. დაცვის ვალდებულება სახელმწიფოს ავალდებულებს საკონონდებლო დონეზე ასახოს და აღიაროს ადამიანის უფლებები და თავისუფლებები;
3. შესრულების ვალდებულება, რომელიც სახელმწიფოსგან საკანონდებლო დონეზე აღიარებული უფლებების დასაცავად, ხელშესაწყობად და უზრუნველსაყოფად აუცილებელი მექანიზმების შემუშავებას გულისხმობს.

ადამიანის უფლებათა ზოგადი კონცეფცია ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა: ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა, ტოლერანტობა, დემოკრატია და სამართლიანობა.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები უნივერსალური ღირებულებაა და თანასწორობის პრინციპზეა დაფუძნებული. კოლექტიური უფლებები არ უნდა ზღუდავდეს და ეწინააღმდეგებოდეს ინდივიდუალურ უფლებებს და სტატუსს.

ადამიანის უფლებები თავისი ისტორიისა და თვისობრივი განსხვავებების მიხედვით 3 თაობად იყოფა.

ადამიანის უფლებების მდგომარეობა ყველაზე ზუსტ და ცხად წარმოდგენას იძლევა სახელმწიფოს განვითარების ეტაპის შესახებ, რადგან სწორედ მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართება არის საზომი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს სამართლებრივ თუ არასამართლებრივ ბუნებას. თუმცა, მეორე მხრივ, ყველა მთავრობა მიღრეკილია იმისკენ, რომ დაარღვიოს ადამიანის უფლებები.

საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და განვითარების მდგომარეობას სხვადასხვა გავლენიანი, სანდო

I თაბობის უფლებები	სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, ნებატიური უფლება	<p>სამოქალაქო უფლებები – იძლევა ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის მიზნმდებრ გარატიას, მაგ. სიცოცხლის, ღირების უფლებები; წამებისაგან თავისუფლება; დისკრიმინაციის დაუშვებლობა; პირადი ხელშეუხებლობის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებები; სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება; გადაადგილების უფლება.</p> <p>პროცესუალური უფლებები სამოქალაქო უფლებების ნაწილად ყალიბდება და უზრუნველყოფს იურიდიულ და პოლიტიკურ ინსტიტუტებთან შეხებაში მყოფ ინდივიდთა დაცვას. მაგ. უდანაშაულობის პრეზუმეცია, სამართლებრივი სასამართლო და ა.შ.</p> <p>პოლიტიკური უფლებები უზრუნველყოფს სამოქალაქო ცხოვრებაში მონაბილეობას (სახელმწიფოს მართვაში მონაბილეობა; საარჩევნო გაერთიანებებისა და კაცირების შექმნა; შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლებლება).</p>
II თაბობის უფლებები	სოციალური, კალტურული და ეკონომიკური უფლებები, პოზიტიური უფლება	<p>სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები უზრუნველყოფს ადამიანების ღირებული ცხოვრების პირობებს. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებიდან განსხვავებით, აქ გაცხადებულია, თუ რისი გაკეთება უნდა უზრუნველყოს ხელისუფლებამ (სამუშაოს ხელმისაწვდომობა, შრომისა და მართლობა, შრომის განმრთელი და უსაფრთხო პირობები, პროფესიული კავშირების შექმნისა და კოლექტიური შეთანხმების უფლება, სოციალური უსაფრთხოება, განმრთელობის დაცვა და განათლება).</p>
III თაბობის უფლებები	პოლექტიური უფლებები (მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან)	<p>კოლექტიური უფლებები: სამოქალაქო და პოლიტიკური შეთანხმება, რომლის ხელმომწერი სახელმწიფო ორგანიზაციის ვალდებული არიან, პატივი სცენ და დაცვას საკუთარი ხალხის უფლებები „განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, პოლიტიკური ან სხვაგვარი შეხედულებისა, ეროვნული ან სოციალური კუთვნილებისა, საკუთრებისა, წამოშობისა ან სოციალური მდგომარეობისა“. ეს უფლებები საერთაშორისო სტანდარტებში სხვადასხვა პატუფაბისთვის (ეროვნული და ეთნიკური უმცირესობები, ქალები, რელიგიები და ენობრივი უფლებები) ინდივიდუალურად განსაზღვრულია.</p>

და მნიშვნელოვანი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები ყოველწლიურად აფასებენ. შეფასების ინტენსიურობა და შეფასებული ასპექტების მრავალმხრივობა საშუალებას იძლევა დასკვნები გამოვიტანოთ არსებული მდგომარეობის დინამიკის, ცვლილების ტენდენციების, პროგრესისა და რეგრესის, მტკიცნეული და სუსტი მსარეების შესახებ.

მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, თუ რამდენად იცნობს და აცნობიერებს თავად მოქალაქე ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ კულტურას. სწორედ ეს განაპირობებს მოქალაქის მოთხოვნასა და შესაძლებლობას, აკონტროლოს და შეაფასოს პოლიტიკური ლიდერების სამართლებრივი და ზნეობრივი დონე, პოლიტიკური რეჟიმი, სოციალურ-პოლიტიკური ქმედებები, პუმანიტარული საქმიანობის ხარისხი. კარგად გაცნობიერებულ მოქალაქეს მეტად შესწევს უნარი, დაიცვას საკუთარი და სხვათა უფლებები და განთავისუფლდეს სახელმწიფოზე ზედმეტი დამოკიდებულებისაგან. მხოლოდ გაცნობიერებულ მოქალაქეს შეუძლია წვლილის შეტანა სამოქალაქო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჯგუფთა შორის კონფლიქტების პრევენციასა და მოგვარებაში, მის კონსოლიდაციაში. მხოლოდ გაცნობიერებული მოქალაქე ახერხებს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლების იმგვარად დაცვას, რომ არ შელახოს სხვისი და თავისი კეთილდღეობა ზნეობრივ პრინციპებზე დააფუძნოს.

მიუხედავად ადამიანის უფლებათა სფეროში გადადგმული ნაპიჯების ხანგრძლივი და რთული ისტორიისა, მსოფლიო მასშტაბით დღემდე უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და განვითარება. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ფიქრი, სად და როდის უნდა დავიწყოთ ადამიანის უფლებებზე ზრუნვა. „სად იწყება, ბოლოს და ბოლოს, ადამიანის უნივერსალური უფლებები? - იქნებ ჩვენი სახლების სიახლოვეს და ისეთ პატარა ადგილებში, მსოფლიოს ვერც ერთ რუკაზე რომ ვერ მოიძებნება. მაგრამ ცალკეული ადამიანისთვის ეს მთელი სამყაროა; უბანი, სადაც იგი ცხოვრობს; სკოლა ან კოლეჯი, სადაც სწავლობს; ქარხანა, ფერმა ან დაწესებულება, სადაც მუშაობს. სწორედ ასეთ ადგილებში ეძიებს კაცი, ქალი თუ ბავშვი თანაბარ სამართლიანობას, თანაბარ შესაძლებლობებს,

თანაბარ ღირსებას დისკრიმინაციის გარეშე. თუ ამ უფლებებს აქ არ ენიჭება საკმარისი მნიშვნელობა, მაშინ არც სხვაგან მიენიჭება. თუ მოქალაქეებმა შეთანხმებული ქმედებით არ გაამყარეს ეს უფლებები თავიანთ სახლებთან ახლოს, მაშინ პროგრესის მოლოდინი დიდ სამყაროშიც ამაო იქნება“ (ელენორა რუზველტი).

უფლებების სწავლება, როგორც ძალადობრივი ექსტრემიზმის პროფილაქტიკა

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ერთ-ერთი არსებითი მიზანი მოსწავლეთათვის არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა, ნათელი ნარმოდგენების შექმნა და უნარების გამომუშავება, არამედ საზოგადოებაში მოქმედებისათვის მზადყოფნისათვის მათი მომზადებაა, რაც ადამიანის უფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვისა და ხელშეწყობისათვის მზადყოფნაში გამოიხატება.

სახელმძღვანელოს ნინა თავებში აღვნიშნეთ, რომ ძალადობრივი ექსტრემიზმი ზემოქმედებს ინდივიდებისა და საზოგადოების კეთილდღეობაზე, ღირსებასა და უსაფრთხოებაზე. შესაბამისად, ის ძალზე ართულებს ადამიანის უფლებებით სარგებლობასა და დაცვას. მსოფლიოს მასშტაბით მისი მსხვერპლი ხდება სხვადასხვა აღმსარებლობის, რასისა და ეროვნების ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის „მიბმული“ კონკრეტულ რეგიონთან, ეროვნებასა თუ აღმსარებლობას-თან, ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეოლოგია ცარიელ ადგილზე არ ჩნდება. „ნარატივები მწუხარების, უბედურების, რეალური თუ სუბიექტურად აღქმული უსამართლობის, დაპირებული ძალაუფლებისა და მასშტაბური ცვლილებების შესახებ მომხიბვლელი მაშინ ხდება, როცა ილახება ადამიანის უფლებები, უგულებელიყოფა კარგი ხელისუფლება და იმსხვრევა მისწრაფებები“.

ძალადობრივი ექსტრემიზმის ფესვები რთული, მრავალსახოვანი და ურთიერთდაკავშირებულია. შესაბამისად, საჭიროა მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი მიდგომა, რომელიც უსაფრთხოების დაცვის პარალელურად, მიმართული იქნება ამ მოვლენის მიზეზების გამოვლენაზე.

ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ნაბიჯი უნდა ემყარებოდეს ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმს და ისე უნდა გადაიდგას, რომ ინდივიდის ან ადამიანთა ჯგუფის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები არ შეილახოს.

რადიკალიზაციის პროცესის განიარაღება ადამიანის უფლებებით და კანონის უზენაესობით, საზღვრებს შორის დიალოგით, ახალგაზრდა ქალებისა და კაცების უფლებამოსილების გაფართოებით სკოლის მერხ-იდანვე უნდა დაიწყოს. ახალგაზრდები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ეკონომიკური რყევების, სოციალური არასტაბილურობისა და კონფლიქტების მიმართ, რადგან ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე ქვეყნის განვითარებაში ხშირად ვერ მონაწილეობენ. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხშირად „თამაშგარე მდგომარეობაში“ რჩებიან, რაც მათი მომავლის განსაზღვრის პოტენციალს ზღუდავს. ახალგაზრდები, რომლებიც თავს საზოგადოებისაგან გარიყულად გრძნობენ, შესაძლოა, ძალადობრივი ექსტრემიზმის „მიმზიდველი“ ფაქტორების მიმართ მოწყვლად, ძალადობრივი რეკრუტირების ადვილ სამიზნეებად იქცნენ.

მედიის ყველაზე აქტიურად მომხმარებელი ახალგაზრდები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ექსტრემისტული ნარატივების მიმართაც, რომელთა პროპაგანდა მრავალფეროვანი ონლაინ პლატფორმებით ხდება. ამ თვალსაზრისითაც, განათლება უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, რომელსაც შეუძლია „მისწვდეს“ ახალგაზრდებს და გააპათილოს ძალადობრივ ექსტრემიზმში მონაწილეობის ზოგიერთი „მიმზიდველი და განმზიდველი ფაქტორი“. განათლება შეიძლება იქცეს ერთგვარ ფარად, რომელიც ახალგაზრდებს მოქალაქეობას ასწავლის, მათ ემოციურ, ინტელექტუალურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას შეუწყობს ხელს და მეორე მხრივ, მრავალფეროვნებისადმი, ინტეგრაციისა და ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემას ჩაუნერგავს. ამას გარდა, კარგი განათლება ადამიანებს სამუშაოს შოვნისა, შრომის ნაყოფიერებისა ზრდისა და მაღალი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას აძლევს, რაც ეკონომიკური ზრდის პირობას.

განათლება ეხმარება ახალგაზრდებს კრიტიკული აზროვნებით, მედია და ინფორმაციული წიგნიერებით დაუპირისპირდნენ ძალადობრივი ექსტრემიზმის ნარატივებს. იმავდროულად, განათლება, შესა-

ძლოა, ახალგაზრდების რადიკალიზაციის პერკეტადაც იქცეს, კიდევ უფრო გაამძაფროს არსებული დაძაბულობა, ხელი შეუწყოს გარიყვასა და უთანასწორობას, წაახალისოს საზიანო იდეოლოგია და ქცევა.

ამრიგად, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ განათლება იყოს ინკლუზიური, არადისკრიმინაციული და ხელს უწყობდეს მონაწილეობასა და განსხვავებულ შეხედულებებს. მეორე მხრივ, საგანმანათლებლო ინიციატივები საკლასო ოთახს უნდა გასცდეს, ძალადობისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიზეზების გასაცნობიერებლად მართვის მექანიზმები და წარმომადგენლობა გააფართოვოს.

მართალია, განათლების უფლება საერთაშორისო კონვენციებით და გაერთიანებული ერების მიერ წევრი ქვეყნებისათვის შემუშავებული „მდგრადი განვითარების მიზნების“ ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, ხარისხიანი განათლების მიღების გზაზე მრავალი ახალგაზრდა აწყდება წინააღმდეგობებს. გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის ანგარიშის თანახმად, მიუხედავად უკანასკნელ ათწლეულებში განათლების მიმართულებით მიღწეული წარმატებებისა, განათლების არათანაბარი ხელმისაწვდომობა, საგანმანათლებლო რესურსების (კვალიფიციური მასწავლებელი, ტექნოლოგიები...) არათანაბარი განაწილება კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება.

სავარჯიშო 1

აგრესიის გამომწვევი მიზეზების, ადამიანის ქცევის, ზნეობაზე მოქმედი სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორების კვლევისას, ამერიკელი ფსიქოლოგი ალბერტ ბანდურა ვარაუდობდა, რომ ძალადობრივი ექსტრემიზმი მაშინ ჩნდება, როცა ადამიანი საკუთარ ზნეობრივ სტანდარტებს შორდება. ჩვეულებრივ, მორალური ქცევა სოციალიზაციის პროცესის შედეგია.

სთხოვეთ მოსწავლეებს, არგუმენტირებულად იმსჯელონ შემდეგი დებულების შესახებ: **მტკიცე ზნეობრივი ცნობიერების ადამიანი ვერ გახდება ძალადობრივი ექსტრემიზმის სამიზნე.**

სავარჯიშო 2

გააცანით მოსწავლეებს გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის ბან კი-მუნის სიტყვები: „ძალადობრივი ექსტრემისტების მიზანი არა ადამიანების მიმართ დაპირისპირება, არამედ ადამიანების ერთმანეთისადმი დაპირისპირებაა. მათი დიადი მისია არა ქმედება, არამედ რეაქციაა. მათი მიზანი საზოგადოებების დანაწევრება და შიშის საფუძველზე მართვაა.“.

სთხოვეთ მოიტანონ ამ მოსაზრების დამადასტურებელი ან უარმყოფელი არგუმენტები.

სავარჯიშო 3

სთხოვეთ მოსწავლეებს ერთი კვირის განმავლობაში ნახონ ფილმი „თავისუფლების მწერლები“ <http://net.adjara.com/Movie/main?id=919>. დათქმულ დღეს მოაწყვეთ დისკუსია თემაზე: „ადამიანის საბაზისო უფლებები და განათლება“.

სავარჯიშო 4

აჩვენეთ მოსწავლეებს ჯეინ ელიოტის ექსპერიმენტი „კლასის დაყოფა“

https://www.youtube.com/watch?v=-IG0_lCuegE HYPERLINK

https://www.youtube.com/watch?v=-IG0_lCuegE&t=20s” & HYPERLINK

https://www.youtube.com/watch?v=-IG0_lCuegE&t=20s” t=20s

და სთხოვეთ იმსჯელონ, რამდენად იოლია ძალაუფლების დაპირისპირების იარაღად გამოყენება; როგორ შეგვიძლია წინ აღვუდგეთ დისკრიმინაციას და სტერეოტიპებს.

თავი VII. ინსტრუმენტები მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში

„თუ ერთადერთი, იარაღი, რაც გაგაჩნიათ, არის ჩაქუჩი, ყველაფერი ჰგავს ლურსმანს“. ნარატივები არის ხელსაწყოთა ყუთიდან მხოლოდ ერთი ინსტრუმენტი! პოლიტიკური მოქმედება, სამართლებრივი დაცვა, ახალგაზრდული საქმიანობა და არაფორმალური განათლება არის ხელსაწყოთა ყუთის შემადგენელი ნაწილი“.

სახელმძღვანელო „ჩვენ შეგვიძლია“

სიძულვილის ენის წინააღმდეგ მოქმედება საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივებით

„დღეისათვის, ონლაინ და ოფლაინ სივრცეებში მყარად იკიდებს ფეს არატოლერანტულობისა და ქსენოფობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა - სიძულვილის ენა. ინტერნეტი ხშრად არის ბოროტად გამოყენებული მათ მიერ, ვისაც სურთ, რომ გაავრცელონ პროპაგანდა და აძაგონ სხვადასხვა ჯგუფები და პირები. მეინსტრიმულ პოლიტიკურ დისკურსში უფრო მეტად და მეტად ვხედავთ სიძულვილის ენის, ყალბი ინფორმაციისა და ნარატივების ტოქსიკურ ნარევს, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან თავისუფლებასა და დემოკრატიას“.

**ტორბიორნ იაგლანდი
ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი, 2017**

ინსტრუმენტი 1. ალტერნატიული ნარატივები

ლათინური წარმოშობის (Naratio, an Naration) სიტყვა „ნარატივი“ ინგლისურ ენაში გამოიყენება, როგორც ამბის (ისტორიის) ფორმალური ტერმინი ან ლიტერატურული ჟანრის (ნოველა, პროზა) აღმნიშვნელი.

ლი ტერმინი. ნარატივი („ისტორია“, „მოთხრობა“, „ამბავი“) შეიძლება იყოს რეალურიც და მოგონილიც, ოღონდ მასში ასახული მოვლენები ან ინფორმაცია მკითხველისათვის (მსმენელისათვის) - მნიშვნელოვანი და საინტერესოა. პრობლემები ჩნდება მაშინ, როდესაც ნარატივს წარმოგვიდგენებ „ერთადერთ“, „სწორ“, „ნამდვილ“ ჭეშმარიტებას, რომელიც უარყოფს ალტერნატივებს ან, უკიდურეს შემთხვევაში, აქეზებს ძალადობას მათ მიმართ, ვინც „დამკვიდრებულ, გავრცელებულ, ნორმად ჩათვლილ“ ნარატივს ეჭვქვეშ დააყენებს. ამ შემთხვევაში, პლურალისტული და მრავალფეროვანი საზოგადოების საფუძვლები (აზრის, რელიგიის, რწმენის თავისუფლება და ა.შ.), შესაძლოა, საფრთხის ქვეშ დადგეს. ასეთ ნარატივებს შეუძლიათ საზოგადოებაში პოლარიზაციის გაღრმავება და სიძულვილის გამოწვევა.

არსებობს ნარატივები, რომლებიც ხელს უწყობს ცრურწმენებისა და სტერეოტიპების დამკვიდრებას. განსაკუთრებით საშიშია ავტორიტეტის ან ძალაუფლების მქონე ადამიანისაგან მოსმენილი ჩვენთვის უსაფუძვლოდ დამაჯერებელი ესა თუ ის ამბავი. შესაძლოა, მისთვის სასურველი და მომგებიანი ნარატივი. ადამიანმა თაღლითობის ან პირადი სარგებლის მიზნით შემოვავაზოს.

ნარატივები გავლენას ახდენენ ჩვენი აზროვნების სტილსა და მსოფლმხედველობაზე, სამყაროს აღქმაზე. ისინი მუდამ ჩვენთანაა. ონლაინ სივრცეში ნარატივი თითქოს ახლიდან იპადება - ნებისმიერს შეუძლია მისი წაკითხვა, ნახვა, თავისი მოსაზრების გამოხატვა. თანაც, ყველაფერი ეს შესაძლებელია ანონიმურად, რაც თავისუფლების ხარისხს ზრდის და დაუსჯელობის სინდრომს აჩენს. ნარატივებს დიდი ძალა და გავლენა აქვს: განსაზღვრავენ, რა არის ნორმალური და არანორმალური, ცუდი და კარგი, შავი და თეთრი, სოციალურად მისაღები და მიუღებელი. მათი გავლენა განსაკუთრებით საფრთხის შემცველია, თუკი საზოგადოებაში მედიაწიგნიერების დეფიციტია.

ნეგატიურ სტერეოტიპებსა და ექსტრემისტულ ნარატივებს დიდი წვლილი შეაქვთ ძალადობისა და ძალადობრივი ქცევის სოციალურად მისაღებ ქცევად დამკვიდრებაში. ცხადია, ძალადობრივ ქცევას მხოლოდ სიძულვილით სავსე ნარატივის არსებობა არ განაპირობებს, თუმცა, ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ნარმოდგენილი ნარატივების წინააღმდეგ პრძოლის ეფექტური და მნიშვნელოვანი გზაა აღტერნატიული ნარატივების შემუშავება, რომელთა საშუალებით ხდება ძალადობრივი ნარატივებისა და სიძულვილის ენის დისკრედიტაცია, დეკონსტრუქცია. აღტერნატიული ნარატივები ეფუძნება ადამიანის უფლებებსა და ისეთ დემოკრატიულ ღირებულებებს, როგორიც არის, ლიაობა, განსხვავებულის პატივისცემა, თავისუფლება, თანასწორობა და სხვა.


აღტერნატიული ნარატივის მიზანია, კონტექსტიდან გამომდინარე, მიაღწიოს იმ სამიზნე აუდიტორიამდე:

- ვინც უკვე გამოხატავს სიმპათიას ექსტრემისტული შეხედულებებისადმი, რათა თავიდან ავიცილოთ მათი შემდგომი ჩართულობა;
- ვინც უკვე გამოიჩინევა ექსტრემისტული შეხედულებით, რათა ვეცადოთ მათ შეხედულებებსა და ქცევაზე ზემოქმედება.

აღტერნატიული ნარატივი აშკარად თუ ირიბად, როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ (ან კომპინირებულად) უპირისპირდება ექსტრემისტულ პროპაგანდას. მისი დიაპაზონი, შესაძლოა, იცვლებოდეს დაწყებული კონტრინფორმაციული კამპანიებით, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს ექსტრემისტული ჯგუფის შეტყობინებას, დამთავრებული ფაქტებზე დაფუძნებული ნარატივით, რომელიც ექსტრემისტულის გამოაშკარავებას ემსახურება.

სქემა გვიჩვენებს გრადაციას რთული, ერთი-ერთზე მიმართული აღტერნატიული ნარატივებიდან უფრო მსუბუქ, მრავალფეროვან აუდიტორიაზე მიმართულ აღტერნატიულ ნარატივებამდე.

ტერმინი „საპირისპირო ნარატივი“, ხშირად გამოიყენება ძალადობრივი ექსტრომიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების აღსანიშნავად და ხაზს უსვამს ძალადობრივი ნარატივის დეკონსტრუქციისა და დასუსტების საჭიროებას, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ძალადობრივი ნარატივი, შესაძლოა, მიმზიდველი იყოს ადამიანების, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისთვის.



პრაქტიკაში ამ ორ ტერმინს შორის განსხვავება ხშირად ბუნდოვანია, ვინაიდან საპირისპირო ნარატივი მოიცავს ან ირიბ კავშირშია ალტერნატიულ ნარატივთან. საკმარისი არ არის დაუჭირისპირდეთ და დავგმოთ ძალადობრივი - მნიშვნელოვანია, გავავრცელოთ ადამიანის ლირსებასა და უფლებებზე დაფუძნებული ალტერნატიული ნარატივები.

ალტერნატიული ნარატივები აძლიერებს პოზიტიურ, ინკლუზიურ და კონსტრუქციულ აზრებს და მიზნად ისახავს, ხმა მიაწვდინოს ყველას, მათ შორის სიძულვილის ენისა და ძალადობის გამავრცელებელსაც.


ძალადობრივი ნარატივისათვის „პასუხის გაცემა“ ირიბად მისი მოქმედების არეალის მიღებასა და გაძლიერებას ნიშნავს. ამიტომ მასთან დასაპირისპირებლად საჭიროა სხვა, ალტერნატიული შინაარსის ნარატივი.

არსებობს ალტერნატიული ნარატივების შემუშავების სხვადასხვა გზები:

ფაქტების მოტანა სხვადასხვა სანდო წყაროებიდან, რითაც ეჭვევეშ დგება ნეგატიური, არასწორი წარმოდგენები. კვლევა და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ზომიერების დაცვა,

რადგან ინფორმაციის ან ფაქტების სიმრავლე, შესაძლოა, არაეფექტური აღმოჩნდეს. საჭიროა, ნარატივები დაუკავშირდეს ადამიანთა წარმოდგენებსა და მათ ცხოვრებას, რათა მნიშვნელოვანი და ღირებული გახდეს და მათ ემოციებსა და საჭიროებებს შეეხოს.

იუმორისა და სატირის გამოყენება განსხვავებული აღქმის მქონე ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი ემოციური კავშირების გამოყენებით, უშუალო ურთიერთობის ან პერსონალური სივრცეების შეთავაზებით ან განსხვავებული ალტერნატივული ნარატივის „გამოცდის“ შესაძლებლობების შექმნით. ორგანიზაცია Neue Deutsche Medienmacher-მა გერმანიაში წამოიწყო კამპანია: A First Aid Kit Against Hate Speech (პირველადი დახმარების კომპლექტი) სიძულვილის ენის წინააღმდეგ. ვინაიდან მხოლოდ ფაქტები ხშირად არასაკმარისია, ორგანიზაციამ სიძულვილის ენის წინააღმდეგ ვიდეოებსა და სურათებში სატირისა და იუმორის გამოყენება გადაწყვიტა <https://no-hate-speech.de>.



იუმორის გამოყენებით გენდერული უთანასწორობის გაპატონებული ნარატივების ალტერნატივული ნარატივი მოცემულია სურათზე, სადაც პრინცესას სიტყვები გამოხატავს თავდაჯერებულობასა და უფლებამოსილებას, რომ მას რესურსებსა და შესაძლებლობებზე თანასწორი წვდომა აქვს (უნდა ჰქონდეს).

პირადი სათქმელი და მოგონილი ამბები - ფრანგი მწერლისა და ანთროპოლოგის, დოუნია ბოუზარის ნოველები რეალურად აღწერს

ახალგაზრდების რადიკალიზაციის პროცესს და მათ ყოველდღიურ ცხოვრებას მას შემდეგ, რაც ისინი შეუერთდებიან დაქშს (ანუ ისლა-მურ სახელმწიფოს). ამ ნაწარმოებების მიზანია იმ ნარატივების დეკონ-სტრუქცია, რომელსაც იყენებენ დამქირავებლები და (ჯიპადისტი) რადიკალური ისლამური დაჯგუფებები. ამის ერთ-ერთი ნიმუშია მისი 2015 წლის ნოველა „ცხოვრება აისისის შემდეგ“.

საპირისპირო გზავნილები არის მოკლე და პირდაპირი რეაქცია სიძულვილის შემცველ შეტყობინებებზე. საპირისპირო ნარატივის ეს ფორმა, შესაძლოა, გამოვიყენოთ ძალადობრივი ექსტრემისტული შეტყობინებების, დაპირისპირების, დისკრედიტაციისა და განმარტების მიზნით. მას ხშირად სიძულვილის ენის მკაფიო გამოხატულების დამ-ბლოკავ ინსტრუმენტაცი იყენებენ.

ალტერნატიული ნარატივი შეძლება გავრცელდეს სოციალური მედიის საშუალებით. მაგალითად, კამპანია „**არა ჩემი სახელით**“ „მუს-ლიმები ტერორისტული კამპანიის წინააღმდეგ“), როცა მრავალმა მუს-ლიმმა აიმაღლა ხმა მუსლიმებისა და ტერორისტების გაიგივების შესახ-ებ არსებული სტერეოტიპის წინააღმდეგ. კამპანიამ ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ ტერორიზმი გარდუვალად მუსლიმური არ არის, ის ხორციელდება სხვადასხვა წარმოშობის, რელიგიისა თუ პოლიტიკური შეხედულებების მქონე ექსტრემისტული ჯგუფების მიერ.

სიძულვილის დამანგრეველი. 2013 წელს ჰელსინკში, „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ კამპანიის“ ფარგლებში, ჩატარდა კამ-პანია „დამანგრეველი კედელი“. მისმა მონაწილეებმა კედელზე არსე-ბული რასისტული, ჰომოფობიური და ნეო-ნაციისტური სიმბოლოები და წახატებიც გადაიტანეს და თვალსაჩინოებისათვის სიყვარულის, ადამიანის უფლებების მრავალფეროვნების პატივსაცემი სიმბოლოები თუ გამოთქმები.

საპირისპირო ენის გიდი - კამპანიამ „Get The Trolls Out“ თვითერზე შექმნა „საპირისპირო ენის“ მოკლე სახელმძღვანელო სასარგებლო რჩევებით შეტყობინების პასუხზე, ტონისა და სიტყვების შერჩევაზე, თვალსაჩინოების გამოყენებაზე, ზოგადად, თავის დაცვაზე (www.stoppinghate.getthetrollsout.org).

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მჩაგვრელ ნარატივთან ბრძოლა მისი გამრავლებით ან სხვა მჩაგვრელი ნარატივებით შეუძლებელია. საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების მომზადება, განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებებს, დემოკრატიულ ღირებულებებსა და პრინციპებს. *WEDI ACTIVISTS* არის სამაგიდო თამაში, რომელიც მონაწილეებს აცნობს ადამიანის უფლებათა ღირებულებებსა და პრინციპებს, ციფრული მოქალაქეობის კონცეფციას (<http://www.lebij.be/index.php/no-hate/>).

სამართლებრივი რჩევა. ჩეხეთის რესპუბლიკაში Safer Internet Centre-ის ინტერნეტ დახმარების ხაზის მეშვეობით სამართლებრივ რჩევას აძლევენ სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის სამიზნედ ქცეულ ადამიანებს.

ალტერნატიული ნარატივის პირველი და მთავარი წესი - ის არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციის ან სიძულვილის არანაირ ფორმას და, რაც მნიშვნელოვანია, არ უნდა გააძლიეროს სიძულვილის სქემები ან განტევების ვაცად ქცევის სურვილი. მაგალითად, სლოვანი „ნუ გძულთ მიგრანტები, გძულდეთ ბანკირები“, მოგვიწოდებს სიძულვილით სავსე, დისკრიმინაციული ქმედებისაკენ.

შეჯამება:

- მჩაგვრელი ნარატივი და ძალაუფლება - ისინი ერთად დგანან, ერთად ეცემიან!
- ნარატივი არის სუსტი ადგილი - დაარტყი იქ და ძალაუფლების სტრუქტურა ინგრევა.
- არ უპასუხოთ მჩაგვრელ ნარატივებს - შეუძლებელია მჩაგვრელი ნარატივის დანგრევა მისი პირადი ჩარჩოს გამოყენებით! შესთავაზეთ ახალი ჩარჩოები!
- საპირისპირო ნარატივები ანგრევს და არალეგიტიმურს ხდის მეორე ნარატივს; საბოლოოდ, ალტერნატიული ნარატივები გვთავაზობს ხაზგასმით განსხვავებულ შეხედულებას ან ინტერპრეტაციას იმისას, „რისი მომხრეები ვართ ჩვენ“ და არა იმისა, „რის წინააღმდეგ ვართ ჩვენ“.

რჩევები, რომლებიც გამოგადგებათ ალტერნატიული ნარატივის შემუშავებასა და მჩაგვრელი ნარატივების დეკონსტრუქციის მიზნით ნაბიჯების გადადგმაში:

1. შეაფასეთ ის მჩაგვრელი ნარატივი, რომელსაც გინდათ, რომ დაუპირისპირდეთ. მჩაგვრელი ნარატივის დაწვრილებით განხილვა დაგეხმარებათ, ჩაწვდეთ, როგორც მის შინაგან დინამიკას, ასევე კონტექსტს, მისი მოქმედების რადიუსს და მედიაში გავრცელებას.
2. საპირისპირო ნარატივის დაგეგმვა არის ფაზა, როდესაც თქვენიღებთ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, ირჩევთ ტექნიკას, ტაქტიკას და არგუმენტებს, რომელთა გამოყენებაც გსურთ. ასევე ირჩევთ მედიაპლატფორმას (მედიაპლატფორმებს).
3. საპირისპირო ნარატივის დაწერება არის მეორე ფაზაზე დაგეგმილი ჩარევის ამოქმედების ეტაპი.
4. საპირისპირო ნარატივის მონიტორინგი და შეფასება გეხმარებათ დაინახოთ თქვენი შრომის ნაყოფი - რამდენად ეფექტურად მუშაობს თქვენი საპირისპირო ნარატივი და რა გავლენას ახდენს იგი. ეს ფაზა ასევე დაგეხმარებათ, კარგად გააანალიზოთ შესრულებული სამუშაო და განსაზღვროთ, საჭიროების შემთხვევაში, რა ცვლილებები შეიტანოთ მასში.

კომპეტენციების განვითარება ახალგაზრდული ინიციატივების მეშვეობით

ყველა ინიციატივის განხორციელება მოსწავლეების მხრიდან მოითხოვს პასუხისმგებლიან მონაწილეობას და წინასწარ მომზადებას. ღონისძიებების ეფექტურობა და შესაფერისობა მეტწილად დამოკიდებულია საქმიანობის ხარისხზე. გუნდური მუშაობა და სხვა ადამიანებთან თუ ჯგუფებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანი ფაქტორებია საპირისპირო ნარატიული ღონისძიებისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების შესაძენად. ღონისძიებაში მონაწილეობას სჭირდება პროაქ-

ტიური დამოკიდებულება იმ სწავლების მიმართ, რაც ახალგაზრდებს მოქმედების მთავარ გმირებად წარმოაჩენს. საჭიროა, მოქმედების დაწყებასაც საგანმანათლებლო პერსპექტივით მივუდგეთ. ქმედების დაგე-გმვა და განხორციელება ქმნის მდიდარ შესაძლებლობებს სპეციფიკური ცოდნის, უნარებისა და ურთიერთობის ფორმების დასახვენად. ინიციატივები და სტრატეგიები პირობითად შეიძლება დავყოთ შემდეგ კატეგორიებად:

- განათლება და ცნობიერების ამაღლება;
- ონლაინ სივრცეში უკვე არსებულ ნარატივებთან, სიძულვილის ენასთან გამკლავება;
- სხვების მობილიზება;
- მსხვერპლის ან ჩვეულებრივი სამიზნე ჯგუფებისადმი სოლი-დარობის გამოხატვა;
- უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლილი სტრატეგიები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ღონისძიებასა თუ კამპანიაში ეს სტრატეგიები ხშირად ერთობლივად გამოიყენება. საპირისპირო და აღტერნატიული ნარატივების გამოყენება შესაძლებელია აქ აღნიშნული ნებისმიერი სტრატეგიის შემთხვევაში.

სპეციფიკური ცოდნის სფეროები, უნარები და დამოკიდებულებები ძირითადად განისაზღვრება მონაცილეთა საჭიროებების, ღონისძიების ტიპის, მისი კონტექსტისა და საგანმანათლებლო ჩარჩოს მიხედვით. ინიციატივების განხორციელება ეფუძნება რიგ ღირებულებებს, უნარებსა და დამოკიდებულებებს, რომელთა ჩამოყალიბება-განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სამოქალაქო განათლება.

ინსტრუმენტი 2. დისკუსია

დისკუსია, როგორც ინტერაქტიული სწავლების მეთოდი, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ძალადობრივი ექსტემიზმისა და რადიკალიზმის თავიდან ასაცილებლად. დისკუსიის გზით შესაძლებელია

განხილული იყოს ისეთი თემები, როგორიცაა: რელიგია და კულტურა, მრავალფეროვნება, გენდერული თანასწორობა, ადამიანის უფლებები, მოქალაქეობა, გამოხატვის თავისუფლება, ინტერნეტი და სხვა. დისკუ-
სია ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს
უწყობს მათში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. დისკუსიის
მეშვეობით, შესაძლებელია იდეების, შეხედულებების, მტკიცებულე-
ბების ურთიერთგაცვლა ჭეშმარიცების დასადგენად.

გაკვეთილზე დისკუსია შეიძლება წარიმართოს:

1. მოსწავლეებს შორის ჯგუფური თანამშრომლობითი მუშაობის დროს;
2. მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის მთელი კლასის მონაწ-
ილეობით.

დისკუსიის მიზანია:

- დაეხმაროს მოსწავლეებს აზრის აქტიურად გამოხატვაში, კრი-
ტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში;
- სხვათა აზრის გათვალისწინებასა და კონსენსუსის უნარის
გამომუშავებაში;
- სხვათა მოსაზრებების და შეხედულებების საფუძველზე ცოდნის
გაღრმავებაში;
- კომუნიკაციის უნარის განვითარებაში.

რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა დისკუსიის ეფექტუ-
რად მართვისთვის?

დისკუსია უნდა იყოს კარგად ორგანიზებული. მომზადებული უნდა
იყოს როგორც მასწავლებელი, ასევე, კლასი. სასურველია, იგი ეფუძნე-
ბოდეს განვლილ მასალას. უნდა დავადგინოთ მოსწავლეთა ცოდნის
დონე და საჭირო უნარ-ჩვევები; უნდა განვისაზღვროთ საჭირო ინფორ-
მაცია და დისკუსიისთვის კარგად მომზადების მიზნით, მოსწავლეებს ამ
ინფორმაციის წყაროები მივუთითოთ; დისკუსია შესაძლებელია მოჰყვეს
მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ პრეზენტაციას.

წესებისა და პროცედურების დაცვა:

- საკითხის განსაზღვრა;
- დისკუსიის დროის განსაზღვრა;
- სივრცის ორგანიზება ისე, რომ ყველა მოსწავლეს შეეძლოს ერთმანეთთან თვალით კონტაქტი. ასეთი განლაგება ამცირებს კომუნიკაციის ბარიერებს მოსწავლეებს შორის; ასევე, წრიულად ერთ სიბრტყეზე განლაგება მათ უქმნის თანაბარი მონაწილეობის განცდას და სურვილს.

დისკუსიის წესების განსაზღვრა

- ფოკუსირება კონკრეტულ მიზანსა და სფეროზე. მასწავლებელმა ნათლად უნდა განმარტოს დისკუსიის მიზანი და დააფიქსიროს დაფაზე;
- მუდმივი კონტროლი, რათა მოსწავლეები არ გადაერთონ სხვა საგანზე ან თემაზე;
- ეფექტური კომუნიკაციის (როგორც ვერბალურის, ასევე, არავერბალურის) სტრატეგიების ფლობა და გამოყენება;
- დისკუსიის შეჯამება. მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად კიდევ ერთხელ უნდა ჩამოთვალოს ძირითადი საკითხები, შეაფასოს პროცესის წარმატებულობა, თუ რა გაკეთდა კარგად და რა საჭიროებს გამოსწორებას.

რა როლი ეკისრება მასწავლებლს დისკუსიის დროს?

1. ნათლად განსაზღვრავს გაკვეთილის მიზანს;
2. არ ერევა დისკუსიის შინაარსობრივ მხარეში;
3. ხელს უწყობს მოსწავლეების დისკუსიაში ჩართვას;
4. აძლევს მოსწავლეებს აზრის გამოთქმის შესაძლებლობას;
5. აკონტროლებს, რომ მოსწავლეებმა მოუსმინონ ერთმანეთს, არ გადაუხვიონ სადისკუსიო თემას და დაიცვან რეგლამენტი.

დისკუსიის ძლიერ მხარედ შეიძლება დავასახელოთ:

1. დისკუსიის გზით განხილული საკითხები მეხსიერებაში უფრო ღრმად ჯდება;
2. საუკეთესო მეთოდია კრიტიკული აზროვნების გამომუშავებისათვის მაშინაც კი, თუ მოსწავლეებს ნაკლები ცოდნა აქვთ;
3. კარგი მოტივატორია მოსწავლეებისთვის სადისკუსიო თემისთვის დამოუკიდებლად ინფორმაციის ძიებისა და მოპოვებისთვის;
4. ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას;
5. მოსწავლეებში ავითარებს თანამშრომლობისა და კომუნიკაციის ზოგად უნარებს.

დისკუსიის სუსტ მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ:

1. დისკუსიამ შეიძლება ბევრი დრო მოითხოვოს და არასასურველ შედეგზე გაგვიყვანოს;
2. შეზღუდულ დროში ნაკლებ სავარაუდოა სადისკუსიო თემის ყველა სადაცო ასპექტის სრული განხილვა.

განვიხილოთ დისკუსიის ჩატარების რამდენიმე ხერხი:

დისკუსიაში მონაწილეობს მთელი კლასი. დისკუსიის საგანი მასწავლებელმა წინასწარ გააცნო მოსწავლეებს, მისცა დრო მოსამზადებლად, მათთან ერთად შეიმუშავა დისკუსიის წესები. დისკუსიის დროს არ ცდილობს მოსწავლეთა მანიპულირებას.

მოსწავლეები წინასწარ ამზადებენ საშინაო დავალებას, წერენ მოკლე ანალიზს და დასკვნას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. კლასში წყვილებში ან მცირე ჯგუფებში განიხილავენ თითოეულს და დისკუსიის საფუძველზე აფასებენ ნამუშევრებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ მზადდება მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ. თვითეულმა ჯგუფმა სადისკუსიოდ ერთი დასკვნა უნდა აირჩიოს.

პრობლემის ან შეკითხვის დასმის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, ნახევარი წუთის განმავლობაში დამოუკიდებლად იფიქრონ, შემდეგ

შებრუნდნენ გვერდზე მჯდომი მოსწავლისკენ, გამართონ დისკუსია პასუხის მოსახებნად (ერთი წუთი); შემდეგ წყვილები გაერთიანდნენ ოთხკაციან ჯგუფებად, შეაჯერონ წყვილებში მიღებული გადაწყვეტილებები (2 წუთი). ეს ხერხი მაშინ გამოიყენება, როცა მარტივი კითხვაა და მასწავლებელს სწრაფი პასუხის მიღება უნდა.

ამრიგად, თანამედროვე მეთოდებს შორის, სასწავლო დისკუსიას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. იგი, თავისი არსით, დიალოგია. დისკუსიის მეთოდი მოსწავლეებს უვითარებს კომუნიკაციის უნარს, მსჯელობის კულტურას. იდეების, შეხედულებებისა და მტკიცებულებების გაცვლით შესაძლებელია ჭეშმარიტების დადგენა. დისკუსიის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია მისი ორგანიზება და რეგულირება. დისკუსიის მონაწილეები უნდა იცავდნენ წესებს, რომლებსაც მასწავლებელთან ერთად თავად აყალიბებენ. წესების ჩამონათვალი შეიძლება ამგვარი იყოს:

- როცა ერთი ლაპარაკობს, სხვები უსმენენ;
- აინიეთ ხელი, როცა რაიმეს თქმა გსურთ;
- არ გააწყვეტინოთ სხვას სიტყვა;
- კამათში ყველა მონაწილეობს;
- და სხვა (რასაც მოსწავლეები შემოგვთავაზებენ).

დისკუსიის მსვლელობა

დისკუსია იწყება განსახილველი საკითხის ან გადასაჭრელი პრობლემის დასმით;

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შეკითხვებს: რა? როგორ? რატომ? რა მოხდება, რომ...? რამ იქონია გავლენა?

გაკვეთილზე ხმაურისა და ქაოსის თავიდან ასაცილებლად, თითოეულ მონაწილეს შეუძლია გამოსვლა წამყვანის (მასწავლებლის ან კლასის მიერ არჩეული ლიდერის) ნებართვით;


- დაუშვებელია მონაწილეთა შორის დაპირისპირება;
- ყველა მონაწილეს უნდა მიეცეს აზრის გამოთქმის საშუალება;
- გამომსვლელმა უნდა დაიცვას რეგლამენტი;

- დისკუსიის მონაწილეები უნდა შეეცადონ, რომ მათ მიერ გამოთქმული აზრი იყოს დასაბუთებული და ფაქტებით განმტკიცებული;
- განხილვისას უნდა დავიცვათ კორექტულობა, დაუშვებელია დაცინვა, ქილიკი, გამასხარავება.

მასწავლებლის მოვალეობაა არა რომელიმე კონკრეტული პოზიციის დაკავება, არამედ, დისკუსიის წარმართვა ისე, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, კონკრეტული აზრი გამოიკვეთოს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვიდრე დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობა თავს კომიტეტულად იგრძნობს და აზრის თავისუფლად გადმოცემას შეძლებს, შეიძლება რამდენიმე საათი დაგვჭირდეს.

ჯგუფური დისკუსიის, „აკვარიუმის“ მეთოდი



„თევზის აკვარიუმის“ (Fishbowl), ან, უბრალოდ, „აკვარიუმის“ მეთოდი გამოიყენება ჯგუფური დისკუსიის დროს. მისი ზოგადი აღნერა ასე-თია:

კლასი იყოფა ორ ჯგუფად. ერთ ჯგუფს დამკვირვებლის ფუნქცია აქვს, მეორეს - მოქმედი ჯგუფისა. ჯგუფების წევრთა რაოდენობა არათანაბარია. მცირერიცხოვანი ჯგუფი (6-8 მოსწავლე) განლაგდება წრიულად საკლასო ოთახის შუაგულში. თანაკლასელები მათ გარშემო წრიულად სხდებიან. შიდა წრე შეიძლება იყოს დახურული ან ღია. ღია წრე გულისხმობს დამკვირვებელი მოსწავლეების დისკუსიაში ჩართვის შესაძლებლობას, რისთვისაც შიდა წრეში თავისუფალი სკამია გამოყოფილი. მსურველი ჯდება ამ სკამზე, გამოთქვამს თავის მოსაზრებას და გარე წრეში კვლავ თავის ადგილს, ანუ დამკვირვებლის პოზიციას უბრუნდება.

გარე წრეს შეიძლება სხვადასხვა დავალება ჰქონდეს:

1. თვალყური ადევნოს დისკუსიას, იფიქროს თავის არგუმენტებზე, რათა ის მოგვიანებით მთელ კლასს გააცნოს. ამ შემთხვევაში

- ორიენტაცია აღებულია დისკუსიის შინაარსზე. ასეთ შემთხვევა-
ში მოსახერხებელია ღია ტიპის შიდა წრე.
2. დააკვირდეს მონაწილეთა მიერ დისკუსიის წესების დაცვას,
სოციალურ ქცევებს, მონაწილეთა პოზიციების დამაჯერებლო-
ბას და ა. შ. დისკუსიის მიზანია, საუბრის ხელოვნების დახვენა.
ამ მიზანს შეესაბამება დახურული შიდა წრე.

გარე წრისათვის მინიჭებული ფუნქციის მიხედვით განისაზღვრება
დისკუსიის შემდეგ საერთო საკლასო განხილვის შინაარსი. პირველ
შემთხვევაში (ა) დისკუსია გრძელდება, მეორეში (ბ) - ხდება დისკუსიის
მიმდინარეობის ანალიზი და შეფასება.

მორცხვი და გაუბედავი მოსწავლეების ჩაბმა, თავიდან სასურველია
დამკვირვებლის როლში. ისინი თანდათან, შეუმჩნევლად შეძლებენ თავ-
იანთი წვლილის შეტანას დისკუსიაში. გარდა ამისა, შიდა წრის წევრების
ქცევა გაუბედავი მოსწავლეებისათვის ერთგვარი სტიმული იქნება.

გარე მონაწილეები ერთ რომელიმე მხარეს ემსრობიან და როცა
ორთაბრძოლაში ჩართვის სურვილი უჩნდებათ, ორთაბრძოლის მონაწ-
ილეს მხარზე ადებენ ხელს. ისინი ადგილებს ცვლიან.

აკვარიუმის მეთოდით ჩატარებული გაკვეთილისთვის:

1. უკეთესია დიდი ჯგუფი;
2. მიზანშეწონილია დისკუსიის საკვანძო საკითხების მონიშვ-
ნა, რადგან, შესაძლოა, გაგვიტაციოს ფართო და საინტერესო,
მაგრამ არადოკუმენტირებულმა დისკუსიამ;
3. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურადღებით მოსმენა;
4. შესაძლებელია გარე მონაწილეები ფეხზე იდგნენ, რათა თავიდან
ავიცილოთ მათი პასიურობა.

მეთოდის თავისებურებები:

- ეს არის ტრადიციული დებატების ალტერნატივა;
- ცვლის მრგვალ მაგიდასთან დისკუსიას;
- წაახალისებს დინამიკურ მონაწილეობას;

- სასარგებლოა წინააღმდეგობრივ თემებზე მუშაობისას;
- თავიდან გვაცილებს ხანგრძლივ პრეზენტაციებს.

რჩევები მეთოდის გამოყენებისთვის:

1. განსაზღვრეთ მეთოდის მიზანშეწონილობა თემასთან (საკითხ-თან) დაკავშირებით;
2. წინასწარ შეუთანხმეთ მონაწილეებს „აკვარიუმის“ მეთოდის დრო, აუხსენით პროცედურა და მათი როლი;
3. წინასწარ განსაზღვრეთ საჭირო სივრცე;
4. შიდა წრეში დაგჭირდებათ რამდენიმე სკამი (შესაძლოა, ეს სკამები შემაღლებულ ადგილზეც იყოს, რომ ყველა ხედავდეს);
5. შიდა წრის გარშემო დაალაგეთ სკამები ან მაგიდები ;
6. დატოვეთ შიდა წრესთან მისასვლელი გზა;
7. საჭიროების შემთხვევაში, მოიმარაგეთ მიკროფონები;
8. საკვანძო იდეების დასაწერად სასარგებლოა ფლიფჩარტის ან დაფის გამოყენება;
9. დასაწყებად შიდა წრეში მსხდომ მონაწილეებს ვთხოვთ, აუხსნან ჯგუფს პროცედურის შესახებ. შემდეგ დავსვათ პროვოკაციული შეკითხვა და ვთხოვთ მოსაზრების გამოთქმა;
10. მივცეთ 5-10 წუთი შიდა წრეში მსხდომ მონაწილეებს და კიდევ 10 წუთი დამაზუსტებელი კითხვებისათვის;
11. მივცეთ ძირითად ჯგუფს განსაზღვრული დრო, რის შემდეგ დამკვირვებლებს შეუძლიათ კითხვების დასმა და კომენტარების შეთავაზება დისკუსიის კონკრეტულ ნაწილზე;
12. სთხოვეთ დამკვირვებლებს დისკუსიაში მონაწილეობა - მათ ადგილი უნდა გაუცვალონ ძირითადი ჯგუფის რომელიმე წევრს ისე, რომ ცვლილებები მუდმივი იყოს და მონაწილეობა ყველამ მიიღოს;
13. განსაზღვრული დროის შემდეგ (მაგ. 5 წუთი), ჯგუფის წევრებს ისე შეუცვალეთ ადგილები, რომ დამკვირვებლები ძირითად ჯგუფში გადავიდნენ, ხოლო ძირითადი ჯგუფის წევრები დამკარვებლების როლში აღმოჩნდნენ.

დანართი:

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ნორმატიული დოკუმენტები

საქართველომ, როგორც „გემ-ქვეყანამ“, „დედამიწა-ნავის“ წონას-ნორობის დაცვისა და შენარჩუნების პასუხისმგებლობა სხვებთან ერთად გაიზიარა და საფუძვლად დაუდო ქვეყანაში ზოგადი განათლების მარეგულირებელ ეროვნულ დოკუმენტებს.

განათლებას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სოციალ-ური ერთიანობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის გაძლიერებაში, მდგრადი და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

განათლების სოციალური ფუნქციის შესრულება განსაკუთრებით რთულია დღეს, მეცნიერებისა და ტექნიკოლოგიური პროცესების სწრაფი განვითარების პირობებში, ვინაიდან საზოგადოების დაკვეთები განათლების მიმართ უსწრაფესად იცვლება და ფართოვდება. ამ მუდმივად ცვალებადი სოციალური დაკვეთების შესასრულებლად აუცილებელია სისტემის ყველა რგოლის ერთიანი და მიზანმიმართული მოქმედება, პრიორიტეტების გამოკვეთა, სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ინსტიტუციებისა და მთელი საზოგადოების მიერ პროცესის სირთულის გაცნობიერება და ერთიანი აქტიური მოქმედება. ამ რთულ პროცესებს საფუძვლად უნდა დაედოს მყარი სამართლებრივი ბაზა, რომელიც განათლების სისტემაში მუდმივად მიმდინარე პროცესების თანმიმდევრულობისა და მდგრადობის თავდები იქნება.

მკითხველისათვის გლობალურ სამყაროში მიმდინარე პროცესებისა და ეროვნული კანონმდებლობის დონეზე შესაბამისობების თვალსაჩინოებისათვის, ამ თავში მოკლედ შევეხებით საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის მუდმივად მიმდინარე პროცესების თანმიმდევრულობისა და მდგრადობის თავდები იქნება:

1. საქართველოს კონსტიტუციას;
2. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
3. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები;

4. ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტი.

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციით (1995) აღიარებულია ადამიანის თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპები, აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით. საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ (მუხლი 11, პუნქტი 1 და 2).

კონსტიტუცია იცავს მოქალაქეების რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებას და მათ შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ (მუხლი 16, პუნქტები 1-3).

ასევე იცავს აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას. კონსტიტუციის მიხედვით დაცულია აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება და, შესაბამისად, დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. კომუნიკაციის მრავალფეროვანი საშუალებებით ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების შეზღუდვა კანონის შესაბამისად დასაშვებია, თუკი აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დაცვა (მუხლი 17, პუნქტები 1-5).

კონსტიტუცია იცავს ყველა მოქალაქის უფლებას, მიიღოს განათლება და აირჩიოს განათლების სასურველი ფორმა (მუხლი 27, პუნქტი 1).

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ

საქართველოს ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია: მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; მისი გონიერივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა (მუხლი 3, პუნქტი 1ა და ბ).

კანონი განმარტავს სახელმწიფოს ვალდებულებებს ზოგადი განათლების პოლიტიკის ძირითადი მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რაც გულისხმობს: ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში; საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო სკოლის დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრას; ინკლუზიური განათლების დანერგვას და ა.შ. (მუხლი 3, პუნქტი 2ა, გ, ზ, ო).

ზოგადი განათლების შესახებ კანონი ადასტურებს კონსტიტუციით განსაზღვრულ განათლების მიღების უფლებას - „ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის“ (მუხლი 9).

კანონის მეორე თავი ეხება მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებებსა და თავისუფლებებს. მე-13 მუხლით - „ნეიტრალ-

ურობა და არადისკრიმინაციულობა“ - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში იკრძალება სასწავლო პროცესის პოლიტიზება; სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. კანონი არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დასამკვიდრებლად მიმართული ღონისძიების ჩატარებას.

კანონის ამავე მუხლით, სკოლაში აკრძალულია მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა რაიმე სახის დისკრიმინაცია: „დაუშვებელია სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე, მათი გაერთიანებების რაიმე დისკრიმინაცია“ (მუხლი 13, პუნქტი 4).

კანონით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებად გაცხადებულია მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრების ხელშეწყობა, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა; უმცირესობების წევრების ინდივიდუალური და კოლექტიური უფლება დაცვა თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ კულტურული მემკვიდრეობა (მუხლი 13, პუნქტი 6).

კანონი არეგულირებს რწმენის თავისუფლების საკითხებს. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს აქვთ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება. დაუშვებელია დაეკისროთ ისეთი ვალდებულებები, რომლებიც ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან მსოფლმხედველობას. რელიგიური სიმბოლოების განთავსება საჯარო სკოლის ტერიტორიაზე შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის ემსახურება აკადემიურ მიზნებს. საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ, სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას (მუხლი 18, პუნქტები 1-4).

კანონი განსაზღვრავს ძალადობისაგან თავისუფალი სკოლის პრინციპებს: დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი

სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მუხლი 20, პუნქტი 1).

კანონის მიხედვით მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე; (მუხლი 211, პუნქტი 7ბ).

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების (2004) პრეამბულაში მითითებულია, რომ „საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგად-საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის“. ამ მოთხოვნის შესასრულებლად, აუცილებელია ისეთი შინაარსის საგანმანათლებლო პროცესი, რაც მოსწავლეებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ მოქალაქეობრივ ცნობიერებას ჩამოუყალიბებს და სახელმწიფოს, ოჯახის, საზოგადოების წინაშე თავისი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში დაეხმარება.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას მოიცავს. მოქალაქეობრივი განათლებისა და სამოქალაქო აქტიურობის გამომხატველ პუნქტებს აღნიშნულია, რომ „საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება; სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა“.

ზოგადი განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად ასევე განსაზღვრულია კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქის აღზრდა. ამ მიზნის რაელიზაციის აუცილებლობა ასეა დასაბუთებული: „დღე-ვანდელ დინამიურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება“.

ეროვნული სასწავლო გეგმა

ეროვნულ სასწავლო გეგმაში საბაზო და საშუალო საფეხურების მისიები ასეა წარმოდგენილი:

საბაზო საფეხურის მისიაა „საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიღრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძველების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების ან შრომითი საქმიანობისთვის“ (მუხლი 5). საშუალო საფეხურის მისიაა „მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად“ (მუხლი 6, პუნქტი ბ).

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა-სწავლების მიზნები მოიცავს მოსწავლეში შემდეგი გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების განვითარებას: პრობლემების გადაჭრა, კრიტიკული

აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, ეთიკა, მენარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა, დროსა და სივრცეში ორიენტირება, კვლევა, დამოუკიდებლად საქმიანობა, პასუხისმგებლობა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, წიგნიერება.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილია პრიორიტეტული ორგები:

- ა) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; ბ) გარემოს დაცვა; გ) ჯანსაღი ცხოვრება; დ) სამოქალაქო უსაფრთხოება; ე) კონფლიქტების მართვა; დ) ფინანსური წიგნიერება; ე) კულტურული მრავალფეროვნება (მუხლი 7, პუნქტი 1 და 2).

სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული მთავარი მეთოდური ორიენტირებიდან აღსანიშნავია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა და თანასწორუფლებიანობის დაცვა. შესაბამის მუხლებში ხაზგასმულია შემდეგი დებულებები:

ა) ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს;

ბ) სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მონესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვის მიზნით: ა) დაუშვებელია მოსწავლეების განაწილება კლასებში აკადემიური მოსწრების მიხედვით; ბ) დაუშვებელია, რომ საჯარო სკოლამ დააწესოს ბარიერები მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით და მიიღოს მხოლოდ სასკოლო მზაობით გამორჩეული ან მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები. ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე

საჯარო სკოლისთვის; გ) განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად, სკოლა ვალდებულია მოსწავლეები უზრუნველყოს მრავალ-ფეროვანი სასწავლო პროცესით - ინდივიდუალური მიდგომისას სხვა-დასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით (თავი III, მუხლი 10, 11).

სკოლის საერთო კულტურის დახასიათებისას აღნიშნულია, რომ სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს:

„ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვის-ტური, მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა“; კულტურული მრავალ-ფეროვნების მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას; ტოლერანტობის დამკვიდრებას“.

შემწყნარებლობა (ტოლერანტობა) გულისხმობს ქვეყანასა თუ მსოფლიოში არსებული მრავალფეროვნების მიმღებლობასა და პატივისცემას, რაც ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. სკოლის საერთო კულტურამ ხელი უნდა შეუწყოს მოზარდს იმის გააზრებაში, რომ ყოველი ადამიანი გარკვეული ენის, კულტურის, ტრადიციის მატარებელია და ქვეყნისა თუ საზოგადოების წინსვლაში თავისი უნიკალური წვლილის შეტანა შეუძლია. ეს სტიმულს მისცემს მოზარდის სრულფასოვან განვითარებას და დაეხმარება მას კულტურათაშირისი დიალოგის წარმართვაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ (მუხლი 18, პუნქტები ა, ე).

ეროვნული სასწავლო გეგმის განხილვისას უნდა გამოვყოთ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი, რომლის მიზანია, „ხელი შეუწყოს ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას; მიაწოდოს მოსწავლეს ინფორმაცია მშობლიური გარემოს შესახებ; დაეხმაროს მას, განსაზღვროს მშობლიური ქვეყნის ადგილი მსოფლიო ისტორიულ და გეოგრაფიულ პროცესებში; ჩამოაყალიბოს იგი პატრიოტ და ჰუმანურ ადამიანად. ამასთან, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში

სამოქალაქო ღირებულებების გამომუშავებისთვის“ (მუხლი 49. საზოგადოებრივი მეცნიერებები).

საზოგადოებრივი მეცნიერებები სავალდებულო სახით ისნავლება ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებები III-VI კლასებში ისნავლება. III-IV კლასებში - „მე და საზოგადოების“, V-VI კლასებში „ჩვენი საქართველოს“ სახითაა წარმოდგენილი. ამ საფეხურზე ეს საგანი საზოგადოებრივი მეცნიერებების ინტეგრირებულ სწავლებას გულისხმობს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები სამ ძირითად მიმართულებად არის წარმოდგენილი და აღწერილი: (1) პიროვნული განვითარება, (2) ინიციატივა და მეწარმეობა და (3) სოციალურ-კულტურული განვითარება, მოქალაქეობა და უსაფრთხოება. ამ უკანასკნელის მიზანია, მოსწავლეს გაუღვივოს ინტერესი თავისი ქალაქის (სოფლის), მხარის მიმართ; დაანახოს თავისი ადგილი მშობლიურ გარემოში; შეასწავლოს მის გარშემო მიმდინარე სოციალურ და კულტურულ პროცესებში მონაწილეობის საშუალებები; გააცნოს შესაძლო საგანგებო ვითარებიდან მომდინარე საფრთხეები; ჩამოყალიბოს თვითგადარჩენისა და უსაფრთხოდ ქცევის უნარი. ამასთანავე, მოსწავლემ უნდა გაიაზროს დროის ფენომენი; დაინახოს, თუ როგორ ვითარდება ცხოვრებისეული მოვლენები და იცვლება მის ლოკალურ გარემოში. აღნიშნული მიმართულება ჰუმანური ღირებულებების (არაძალადობრივი გზებით მოქმედება, შემწყნარებლობა, თანასწორობა) ჩამოყალიბების გარდა ხელს უწყობს ისეთი აქტიური მოქალაქის აღზრდას, ვისაც გააზრებული აქვს საერთო წესების მნიშვნელობა, ზრუნვას ოჯახზე, სკოლაზე, ბუნებრივ გარემოსა და ისტორიულ მემკვიდრეობაზე, აღიქვამს მის ქვეყანაში არსებული სახელმწიფო ინსტიტუტების მნიშვნელობას.

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული ქცევის წესებს, რითაც ფასდება მასწავლებლის პროფესიული კომპეტენტურობის ხარისხი და რომელთა დაცვა მას მოეთხოვება.

ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს პედაგოგთა ძირითად უფლება-მოვალეობებს, დისციპლინური გადაცდომების სახეებს და, შესაბამისად, მათი დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულ სახდელებს.

მასწავლებლის ეთიკის კოდექსში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თანამშრომელთა (მასწავლებელთა) ერთ-ერთ ძირითად მოვალეობად მიჩნეულია ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური მრნამსის, სქესის, აკადემიური მოსწრების, სოციალური წარმომავლობის ან პირადი შეხედულების მიხედვით მოსწავლეთა დისკრიმინაციის დაუშვებლობა; კოდექსი ადგენს დისციპლინარულ გადაცდომათა ჩამონათვალს. ასეთად ითვლება მოსწავლეთათვის საკუთარი ღირებულებებისა და ფასეულობების თავს მოხვევა (პოლიტიკური, რელიგიური, სოციალური, ეთნიკური უმცირესობების, გენდერული შეხედულებების).

მასწავლებელი ვალდებულია:

- იყოს დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი;
- იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ეთიკის კოდექსის ნორმებით;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეებში დემოკრატიული და პატრიოტული ღირებულებების ჩამოყალიბებას;
- პროფესიული საქმიანობისას მოსწავლეებს მისცეს სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის მაგალითი;
- დაიცვას მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

მოსწავლეებთან ურთიერთობისას მასწავლებელი ვალდებულია:

- შეითავსოს მოსწავლის მრჩევლის ფუნქცია სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასალახად და, მოსწავლის სურვილის შემთხვევაში, დაეხმაროს მას პირადი პრობლემების მოგვარებაში;

- მოსწავლეს არ მიაყენოს სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა, არ მოახდინოს მასზე ემოციური (ფსიქოლოგიური) ზეწოლა;
- კონფლიქტურ სიტუაციებში შეინარჩუნოს სიმშვიდე, მოისმინოს მოსწავლეთა აზრი და მიიღოს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილებები;
- სასწავლო პროცესის განმავლობაში იზრუნოს მოსწავლის ჯანმრთელობის, პირადი უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვაზე;
- დაეხმაროს მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში და მაგალითი მისცეს მათ;
- დაიცვას მორალური და ზნეობრივი ნორმები;
- პატივი სცეს მოსწავლეთა აზრებს, შეუქმნას მათ ყველა პირობა იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატად;
- მოსწავლეებთან არ გასწიოს რელიგიური და პოლიტიკური პროპაგანდა. ეთიკის კოდექსის მიხედვით, „რელიგიური პროპაგანდა“ დაშვებულია იმ სკოლებში, რომლებიც ეწევიან რელიგიურ საგანმანათლებლო საქმიანობას;
- თანაბრად ყურადღებიანი იყოს მოსწავლის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ნიშნისა და იზრუნოს, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი განათლება, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მიუხედავად.

მშობლებთან ურთიერთობისას მასწავლებელი ვალდებულია:

- ითანამშრომლოს მოსწავლის მშობელთან;
- შეატყობინოს მშობელს მოსწავლის დისციპლინური დარღვევის შესახებ და ხელი შეუწყოს მის ჩართვას სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ დისციპლინურ წარმოებაში;
- დაუყოვნებლივ შეატყობინოს მშობელს, თუ მოსწავლე არ გამოცხადდა სკოლაში, ან მის ჯანმრთელობას და პირად უსაფრთხოებას საშიშროება დაემუქრა;

სკოლის დირექტორისთვის, მასწავლებლებთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან ურიერთობისას, მასწავლებელი ვალდებულია:

- თანაბარი პატივისცემით მოეყორას სკოლის დირექტორის, მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა თუ პიროვნული თავისებურებებისა;
- შეძენილი ცოდნა და გამოცდილება გაუზიაროს კოლეგებს და ითანამშრომლოს მათთან;
- ითანამშრომლოს სკოლის მანდატურთან და გაითვალისწინოს მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია;
- ითანამშრომლოს სკოლის დირექტორისთვის და წვლილი შეიტანოს სკოლის განვითარებისათვის დაგეგმილ ღონისძიებებში.

ზემოაღნიშნული წესების უხეში ან სისტემატური დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობისა და მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი დამტკიცებულია 2008 წელს. მისი ძირითადი ნაწილი, გადამუშავებული სახით, ხელახლა დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2014 წლის მარტში. იგი საერთოა ყველა საგნის პედაგოგისათვის და შედგება სამი ნაწილისგან: პროფესიული მახასიათებლები; სასწავლო პროცესის მართვა; პროფესიული განვითარება.

მასწავლებელთა საკვალიფიკაციო კატეგორიების მიხედვით, სტანდარტი ადგენს აუცილებელად შესასრულებელ პირობებს და აღწერს პედაგოგთა პროფესიული ზრდის (განვითარების) სქემას. სტანდარტში საკვალიფიკაციო კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია მასწავლებლის ძირითადი კომპეტენციები, რომელსაც განზოგადებული სახით გთავაზობთ:

- მასწავლებლის პროფესიის მნიშვნელობისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერება;
- სკოლაში თანასწორი და თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- თვითეული მოსწავლის უნიკალურობის გაცნობიერება და სწავლების დიფერენცირებული სტრატეგიების გამოყენება;
- თავისი საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების ანალიზის საფუძველზე მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება და საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის სრულყოფა;
- კოლეგიანობას პრობლემების ერთობლივად გადაჭრისა და პროფესიული განვითარებისთვის თანამშრომლობა;
- უსაფრთხო გარემოს შექმნა განსხვავებული კულტურის მოსწავლეებისათვის;
- ქცევის წესების მნიშვნელობის გაცნობიერება უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნისათვის და მოსწავლეთა მიერ ამ წესების დაცვის ხელშეწყობა;
- კონფლიქტურ სიტუაციებზე ადეკვატური რეაგირება;
- კულტურული თავისებურებების გავლენის კვლევა და გათვალისწინება მოსწავლეთა ღირებულებების ფორმირებაზე;
- რეკომენდაციების შემუშავება პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად და სხვ.

თუ ზემოაღნიშნულ ნორმატიულ დოკუმენტებს, არსებულ ვითარებასა და დეკლარირებულ პოლიტიკას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ საქართველოში წარმოდგენილია მრავალფეროვანი სასწავლო გარემო, სამოქალაქო განათლების ასპექტები ასახულია განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტში. საქართველოს კანონმდებლობა, პიროვნების საბაზისო კომპეტენციების განვითარების გარდა, განათლების სოციალურ ვალდებულებად აღიარებს მოზარდებში ისეთი მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარებას, როგორიცაა: 1.დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის ხელშეწყობა; 2.ადამიანის უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების გაცნობიერება და რეალიზაცია; 3.დემოკრატი-

ისა და აქტიური მოქალაქეობისათვის აუცილებელი კომპეტენციების ფორმირება; 4.სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება; 5.მდგრადი განვითარების კონცეფციის გაცნობიერება და დაცვა...

გამოყენებული ლითერატურა

Albrow M., (2013). The Global Age: State and Society Beyond Modernity, Polity.

დავითაშვილი ზ., (2003). ნაშრომში ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, © ფონდი ”ღია საზოგადოება - საქართველო”.

Global Citizenship in Classroom, A Guide for Teachers, Oxfam. 2015.

Ohmae K., (1999). The Borderless World: Power and Strategy in the Inter-linked Economy, HarperBusiness.

სამოქალაქო განათლების პედაგოგის დამხმარე სახელმძღვანელო
სტატიების კრებული (2013). 1-3 ნაწილი, © CTC- ACETT.

წერეთელი ი., კაკიტელაშვილი ქ. (2006). კულტურა და მოდერნიზაცია,
თბ. : სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

<http://www.nplg.gov.ge/>

<https://www.goodreads.com/quotes/76793-i-ve-often-thought-there-ought-to-be-a-manual-to>

<https://www.un.org/sg/en/content/sg/statement/2012-09-26/secretary-generals-remarks-launch-education-first-initiative>

<https://en.unesco.org/themes/gced/definition>

<https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000245656>

კიკნაძე ზურაბ. რელიგიები საქართველოში. თბილისი. 2008.

культура https://www.gumer.info/bogoslov_Buks/Relig/Daws/index.php

Ninian Smart. Dimensions of Sacred. An Anatomy of the Worls Beliefs.
University of California Press.

Berkeley, Los Angeles, 1996.

Intercultural Communication: Globalization and Social Justice (1 ed.).
SAGE Publications, Inc. 2013.

ეთნოსები საქართველოში. საქართველოს სახალხო დამცველთან არ-
სებული ტოლერანტობის ცენტრის გამოცემა. თბილისი, 2008.

რელიგიები საქართველოში. საქართველოს სახალხო დამცველთან
არსებული ტოლერანტობის ცენტრის გამოცემა. თბილისი, 2008.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები
რელიგიის თავისუფლებაზე. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო საა-
გენტო. თბილისი, 2015.

ზაზა ფირალიშვილი. აუმ შინრიკიო და რელიგიურისა და სეკულარუ-
ლის კონფლიქტი თანამედროვე სამყაროში.

http://www.tolerantoba.ge/index.php?news_id=36

A Teacher's guide on the prevention of violent extremism (2016). This publication is available in Open Access under the Attribution-ShareAlike 3.0 IGO (CC-BY-SA 3.0 IGO) license (<http://creativecommons.org/licenses/by-sa/3.0/igo/>).

Koomen, W., & van der Pligt, J. (2016). The psychology of radicalization and terrorism. New York, NY, US: Routledge/Taylor & Francis Group.

McCauley, C., & Moskalenko, S. (2017). Understanding political radicalization: The two-pyramids model. American Psychologist, 72(3), 205-216.

Ranstrop, M. (2016). The Root Causes of Violent Extremism. Ran Issue Paper.

www.Geostat.ge

<https://info-radical.org/en/radicalization/recognizing-violent-radicalization/>

A Teacher's guide on the prevention of violent extremism (2016). This publication is available in Open Access under the Attribution-ShareAlike 3.0 IGO (CC-BY-SA 3.0 IGO) license (<http://creativecommons.org/licenses/by-sa/3.0/igo/>).

მენაღარიშვილი ა. (2019) სამოქალაქო განათლება რადიკალური იდეე-
ბის პრევენციისთვის. სკოლის მართვა N3 (5) 2018. ISSN 1512-0279.

GCTF and Hedayah. (2014). Abu Dhabi memorandum on good practices for education and countering violent Extremism background. Available at:

https://www.thegctf.org/documents/10162/159880/14Sept19_GCT-F+Abu+Dhabi+Memorandum.pdf

Nordbruch G. (2016). The Role of education in preventing radicalization.
Ran Issue Paper.

Schils N. & Verhage, A. (2017). Understanding How and Why Young People Enter Radical or Violent Extremist Groups. International Journal of Conflict and Violence, 11, 1-17.doi: 10.4119/UNIBI/ijcv.473.

Stanley, T. & Surinder, G. (2015). Childhood Radicalisation Risk: An Emerging Practice Issue, Practice, 27:5, 353-366, DOI: 10.1080/09503153.2015.1053858.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, ადაპტირებული ვერსია http://unicef.ge/uploads/CRC_child_friendly-resized.pdf

ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ (2010). ევროპის საბჭო, <https://rm.coe.int/1680487880>

თავისუფლების მწერლები, მხატვრული ფილმი <http://net.adjara.com/Movie/main?id=919>

კაპანაძე ნ. (2015). ადამიანის უფლებების სწავლება ბლუმის ტაქ-სონომიის გამოყენებით <http://mastsavlebeli.ge/uploads/kaoanaZe%20.pdf>

მოქმედების გეგმა ძალადობრივი ექსტრემიზმის თავიდან ასაცილებლად. გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის ანგარიში, 2016.

Progress towards the Sustainable Development Goals, Report of the Secretary-General (2017) <https://undocs.org/E/2017/66>

სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით, მასწავლებლის წიგნი (2013). თბ., © „adamiani gaWirvebaSi“ http://pin.ge/plugins_images/opportunities/ii.pdf

ტაბატაძე შ., გორგაძე ნ., გახდი თანამონაწილე, (2012). პრაქტიკული გზამკვლევი ახალგაზრდებისათვის, თბილისი.

ჯეინ ელიოტის ექსპერიმენტი „კლასის დაყოფა“ https://www.youtube.com/watch?v=-IG0_lCuegE HYPERLINK “https://www.youtube.com/watch?v=-IG0_lCuegE&t=20s”& HYPERLINK “https://www.youtube.com/watch?v=-IG0_lCuegE&t=20s”t=20s

წყარო: <http://www.kstoolkit.org/home>

WE CAN! Taking Action against Hate Speech through Counter and Alternative Narratives. © Council of Europe, 2017

გამოყენებული ლიტერატურა დანართი:

გორგოძე ს. ჯანაშია ს. (2012) პოლიტიკის დოკუმენტი - უსაფრთხო სკოლა, http://cdi.org.ge/main/wp-content/uploads/2012/04/PP_safeschool_Janashia-Gorgodze1.pdf

საქართველოს კონსტიტუცია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

ეროვნული სასწავლო გეგმა <http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia-akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtsktsda-2016-tsels>

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0>

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/maszavleblis_eTikis%20kodeqsikodeksi.pdf

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2302168?publication=0>

მოსწავლის ქცევის კოდექსი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1033098?publication=0>

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3509592?publication=0>

ხალიანი თ. (2017). უსაფრთხო სკოლა - გამოწვევები და შეფასებები, ჟ. „ლიბერალი“, <http://liberali.ge/articles/view/28334/usafrtkho-skola--gamsotsvevebi-da-shefasebebi>

ხოფერია რ. (2016). მასწავლებლის პროფესიული ეთიკა და სამართლებრივი ვალდებულებები, <http://mastsavlebeli.ge/?p=10203>

განმზიდველი

განმზიდველი (Push) ფაქტორები - მეტ-ნაკლებად რთული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა; უსამართლობის, მარგინალიზაციისა და დისკრიმინაციის განცდა; პირადი იდენტობის კრიზისი და ტრაგედია; იმედგაცრუებისა და გაუცხოების განცდა და ა.შ. ამ ფაქტორების არსებობა ინდივიდს უბიძგებს ძალადობისკენ.

გლობალიზაცია - (ფრა. Global საყოველთაო, ლათ. Globus ბურთი, მრგვალი) რაიმე იდეების, კულტურული მიღწევების, რელიგიური თუ პოლიტიკური მრნამსის, სახელმწიფო მოწყობის სისტემის გავრცელება და დანერგვა მსოფლიო მასშტაბით, ან ამის მცდელობა.

დისკრიმინაცია - (ლათ. Diskriminatio განსხვავებულობა) ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის უფლებათა შეზღუდვა ან შელახვა სოციალური, რასობრივი, ეროვნული (იხ. ეროვნული წარმომავლობა), ენობრივი, სქესობრივი კუთვნილების, პოლიტიკურ, რელიგიურ ან სხვაგვარი ნიშნის მიხედვით.

ეთნიკური წარმომავლობა - (ბერძ. Ethnos ხალხი, თემი) ადამიანის კუთვნილება რომელიმე ისტორიული წარმომავლობის (რასის) ჯგუფისადმი რომელიც განსხვავდება სხვა ჯგუფისაგან (ერთობებისაგან).

ერი-სახელმწიფო - სახელმწიფო, რომელშიც დომინირებს ერთი ეროვნული იდენტობა და რომელსაც გაჩნია სუვერენული მთავრობა.

ექსპანსია - (ლათ. Ekspanstio გაფართოება, გავრცელება) იმპერიალისტური სახელმწიფოს ან მონოპოლისტური გაერთიანების გავლენის სფეროს გაფართოება; ახალი ტერიტორიების დაპყრობისაკენ მისწრაფება.

ინტეგრაცია - (ლათ. Intergratio გაერთიანება) ნაწილების ელემენტების ერთ მთლიანობაში გაერთიანება. პოლიტიკურ მეცნიერებაში-სახელმწიფოთა გაერთიანების პროცესი საერთო ინტერესების საფუძველზე ან პოლიტიკური თანამაგობრობის შექმნის მიზნით. ინტეგრაცია ნებაყოფლობითი პროცესია და მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მასში მონაწილე სუბიექტებს შორის თანხმობით.

ინტერკულტურული კომპეტენცია - ინტერკულტურული განათლების ღირებულებების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების, გაზიარების უნარი.

ინტერკულტურული განათლება - განათლება, რომელიც აღიარებს და პატივს სცემს ადამიანთა ცხოვრების ყველა ასპექტის მრავალ-ფეროვნების ბუნებრიობას, ხელს უწყობს ადამიანთა უფლებებსა და თანასწორობას, ებრძვის დისკრიმინაციას და უზრუნველყოფს იმ ფასეულობებს, რომელიც საფუძვლად უდევს თანასწორობას.

ირიდენტიზმი - ქვეყანაში კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობის მოთხოვნა, გამოეყოს ქვეყანას და შეუერთდეს ისტორიულ სამშობლოს (სეპარატიზმისაგან განსხვავებით, აქ დამოუკიდებელი სახელწმიფოს შექმნის მოთხოვნა არ დგას). ირედენტიზმის მაგალითია მთიანი ყარაბახის სომხეთთან ან ე.წ. სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონის) ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების მოთხოვნა. ირიდენტიზაცია, სუვერენული სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, არაკანონიერი ქმედებაა, რადგან იგი ენინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს.

მაკდონალდიზაცია - მომდინარეობს ამერიკელი ბიზნესმენის გვარისგან მაკდონალდსი. ტერმინი დაამკვიდრა ამერიკელმა სოციოლოგმა ჯორჯ რიცერმა (1992). სწრაფი კვების რესტორნების ფუნქციონირების პრინციპის შეღწევა კულტურაში: სწრაფი კვება, სწრაფი მუსიკა, სწრაფი (კომპიუტერული) ინფორმაცია, სწრაფი პოლიტიკა და სხვა.

მიმზიდველი (Pull) ფაქტორები - ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: უკვე არსებული ძალადობრივი დაჯგუფებები, იდეოლოგიებით შექყრობა და მისი რომანტიზაცია, დიდებისა და ძალაუფლების მოპოვების სურვილი, ახალი შესაძლებლობების არსებობა, მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და ა.შ. ეს ყოველივე, ინდივიდს ხელს უწყობს ჩაერთოს ძალადობრივ და რადიკალურ ორგანიზაციებში.

მულტიკულტურული გარემო - გარემო, რომელიც ხასიათდება ენობრივი, რასობრივი, ეთნიკური, სქესობრივი, რელიგიური და სხვაგვარი მრავალფეროვნებით.

მუეძინი - (არაპ. მუ'აზზინ) რელიგიის მსახური ისლამში.

ნაციონალიზმი - პოლიტიკური პრინციპი, რომელიც პოლიტიკურის და ნაციონალურის ერთ მთლიანობას ამტკიცებს. პოლიტიკური იდეალი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებრიობა თითოეული ერის პოლიტიკური ორგანიზაციის ოპტიმალური ფორმაა.

რადიკალიზაცია - (ლათ. Radikalis ფესვი, ადგილობრივი) პროცესი, როდესაც ინდივიდი ან ინდივიდთა ჯგუფი საკუთარი მოსაზრებებით ეწინააღმდეგება ფართო საზოგადოებაში მიღებულ ნორმებს. საზოგა-დოებაში შექმნილი ვითარება, როდესაც პირი ან პირთა ჯგუფი, მხარს უჭერს რომელიმე ექსტრემალურ პოლიტიკურ, სოციალურ ან რელი-გიურ იდეოლოგიას, ხელს უშლის საზოგადოებაში სტატუს-კუოს და/ან სტაბილურობის შენარჩუნებას.

რასიზმი - (ფრა. Race იტა. Razza) კაცობრიობის დაყოფა ჯგუფებად, რომლებიც განსხვავდებიან შთამომავლობით გადმოცემული ობი-ექტურად შესამჩნევი ნიშნებით (სახის და მისი ნაკვთების კონფიგურა-ცია) და კანის ფერით (შავკანიანები, ყვითელკანიანები, წითელკანიანე-ბი, თეთრკანიანები).

სეცესია - (ლათ. secessio გამოსვლა, განდგომა, გამოყოფა) სეპარატიზმის უკიდურესი ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს გარკვეული ტერიტორიის სრულ პოლიტიკურ გამოყოფას არსებული სახელმწიფოდან და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას.

სტერეოტიპი - (ბერძ. Stereo მტკიცე + τυπος ანაბეჭდი) სხვადასხვა ქვეყა-ნაში, სხვადასხვა საზოგადოებაში არსებული ტრადიციების, ცხოვრების წესისა და სხვა ფაქტორების გავლენით დროთა განმავლობაში მტკიცედ ჩამოყალიბებული აზროვნების ფორმა, რომელიც ცალკეულ მოვლენებს, ჯგუფებს, პროცესებს განზოგადებული და ერთგვარად გამარტივებული ნიშნების, თვისებების, მოდელების მიხედვით ახარისხებს. საზოგადოე-ბის ცნობიერებაში მყარად გამჯდარი წარმოდგენა; ამა თუ იმ ფაქტის აღქმის ერთი, უცვლელი, მყარი სქემა.

ტოლერანტობა - (ლათ. Tolerantia მომთმენიბა, თავმდაბლობა, მიტევე-ბა) შემწყნარებლობა განსხვავებულის მიმართ. დისკრიმინაციის ერთ-გვარი ანტითეზისი.

ტრანსნაციონალური კორპორაცია - კორპორაცია, რომლის მფლობე-ლობა, მენეჯმენტი წარმოება და საქმიანობები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეშია და სხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობის ფარგლებშია მოქცეული.

უმცირესობა - ჯგუფი, რომელიც, როგორც წესი, რიცხობრივ უმცირესობაშია სახელმწიფოს მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის

მიმართ. მისი წევრები, რომლებიც უფრო ხშირად ამავე ქვეყნის მოქალაქეები არიან, დანარჩენი მისახლეობისაგან ეთნიკური, რელიგიური, ან ენობრივი განსხვავებებით გამოირჩევიან.

ქათიბი - (არაბ. ქათიბ გადამწერი, მწერალი, კლერკი) აქ: რელიგიის მსახური ისლამში.

ექსტრემიზმი - (ლათ. Extremus უკიდურესი) ქმედება, როდესაც ინდივიდი, ან ინდივიდთა ჯგუფი ნებისმიერი პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა სახის მიზნის მისაღწევად ძალადობას, ნერგებას, ადამიანთა მსხვერპლს გამართლებულად მიიჩნევს და ასეთ ქმედებებს ახორციელებს კიდეც.

